ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

27 მაისი 2022წ. №11 (4046) გამოცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Слава Україні! Героям слава!

„მანიფესტანტი“ – ნობელზე

ოთხმოცდათორმეტი დღე გავიდა, რაც რუსეთმა უკრაინასთან ომი დაიწყო, – მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ცდილობს, მხარი დაუჭიროს უკრაინელ ხალხს როგორც მატერიალურად, ისე სულიერად, ეხმარებიან კულტურისა და მეცნიერების დონეზეც.

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა, 2022 წლის ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში ნარადგინოს უკრაინელი მწერალი სერჰი ჟადანი.

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისმცოდნეობის კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია:

„ჟადანი უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერალი და ბრწყინვალე პოეტია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, დაჯილდოებულია არაერთი საერთაშორისო პრემიით. დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის ნობელის პრემიის ხარისხის მწერალი. უკვე დიდი ხანია, მის ხმას უკრაინელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“.

ამასთანავე, კომიტეტი გმობს უკრაინაზე შეიარაღებულ თავდასხმას და კრემლის აგრესიულ მოქმედებებს უკრაინელი ხალხისა და უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„თავისუფალი უკრაინა – ეს ჩვენი საქმეც არის. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ უკრაინას. როგორც მეცნიერები, ვალდებული ვართ, ავიღოთ პასუხისმგებლობა უკრაინის აკადემიური საზოგადოებისათვის დახმარების საქმეში. ამას აქვს როგორც ადამიანური და ზნეობრივი, ისე გეოპოლიტიკური მნიშვნელობა“. – ნათქვამია განცხადებაში.

სერჰი ჟადანი დაიბადა 1974 წლის 23 აგვისტოს ლუჰანსკის ოლქის დაბა სტარობელსკში. ავტორია ოთხი რომანისა და არაერთი პოეტური კრებულისა. წერს ესეებს. თარგმნის ინგლისური, გერმანული, ბელორუსული და რუსული ენებიდან. 1996 წელს დაამთავრა ხარკოვის სკოვოროდას სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი. 1996-1999 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 2000 წლიდან ხარკოვის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრაზე. აქტიურად მონაწილეობდა ხარკოვის ევრომაიდანში. 2014 წლის მარტში დაშავდა ევრომაიდნის მომხრეებისა და მონინააღმდეგეების შეტაკებაში.

უკრაინელების საკულტო რომანად იქცა მისი „ვოროშილოვგრადი“, რომელიც 2010 წელს გამოქვეყნდა. კრიტიკოსებმა ამ ნაწარმოებს „ახალგაზრდა თაობის მანიფესტი“ უწოდეს.

26 მაისი – დამოუკიდებლობის დღე და ისტორიის გაკვეთილი

დიმიტრი შველიძე

რომანოვების მონარქია სულ რამდენიმე დღის დამხობილი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არსებულ ბანაკებს შორის კვლავ დაიძაბა ვითარება. რუსეთის ახალმა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად დანიშნა ადგილობრივი სამხარეო მმართველობა – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. მასში სულ ოთხი წევრი შედიოდა: კომიტეტის თავმჯდომარე – ვასილი ხარლამოვი (მემარცხენე კადეტი); მიქაელ პაპაჯანოვი – სომხური დაშნაკცუტუნის წარმომადგენელი; მამედ-იუსუფ ჯაფაროვი – აზერბაიჯანული მუსავატის ლიდერთაგანი და სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე.

დაუჯერებელი ამბავი მოხდა – კომიტეტში არ იყო ამიერკავკასიასა და საქართველოში ყველაზე გავლენიანი პარტიის – სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი. სწორედ ამან გაამწარა ქართველი სოციალ-დემოკრატი ლიდერები. მათი კრიტიკის სამიზნე გახდა კიტა აბაშიძე – ბრწყინვალე ქართველი ლიტერატურული კრიტიკოსი, პატრიოტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თავკაცი.

მაგრამ – ეს ჩვენთვის.

მათთვის კი, ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის, კიტა აბაშიძე, სხვა არავინ გახლდათ, თუ არა – „ქართველი ნაციონალისტი“, რომელიც 20 წელი იყო, „ინტერნაციონალურ პროლეტარიატს“ ებრძოდა.

მოკლედ, ქართველი სოციალ-დემოკრატები აიჯაგრნენ. მათ გადაწყვიტეს მწვავედ და-

▶▶ დასასრული. მე-3 გვ.

საგაზაფხულო, ჭრაღიციული, ოცდამეოთხედ

გუშინ ოფიციალურად გაიხსნა და 29 მაისამდე გაგრძელდება თბილისის წიგნის 24-ე სერთაშორისო ფესტივალი. ყოველდღე, დილის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე №118, ექსპო ჯორჯიას მე-11 პავილიონში გაიმართება წიგნების წარდგინებები, ავტორთა შეხვედრები მკითხველებთან, საუბრები, დისკუსიები, დაჯილდოებები, ლიტერატურული პერფორმანსები, თამაშები, გაიყიდება საქართველოსა და საზღვარგარეთის გამომცემლობების მიერ დასტამბული ახალი წიგნები.

ფესტივალის ორგანიზატორია საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, პარტნიორები – თბილისის მერია, TBC-ბანკი და ონლაინშოპინგის კომპანია VELI.

ხატია გუნიათიშვილის ტრიუმფი ლონდონში

რეპორტაჟი ლონდონიდან

გვ.2

ქალბატონი ქალაუფლების სურნელით

რეზო კლდიაშვილის პიესა

გვ. 6-7

ჩვენი დებიუტანტი

სალომე გზარაშვილი

გვ. 8

ევროპული დონის ფილოსოფოსი

თამაზ გუაჩიძის გახსენება

გვ.10

ის იყო საქართველოს მეგობარი



In Memoriam – ლეო კოსუთი

გვ. 12

ხატია ბუნიათიშვილის გრიუმფი ლონდონში

შარშან ოქტომბერში გამოცხადებული ხატია ბუნიათიშვილის კონცერტი მხოლოდ ახლა შედგა ლონდონის „ბარბიკან ცენტრში". ამ ხნის განმავლობაში იმდენი ცვლილება მოხდა მსოფლიოში, რომ პიანისტს თავდაპირველად გამოცხადებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანა მოუნია. კოვიდთან ბრძოლა და ომი უკრაინაში იქცა ხელოვანის მთავარ სათქმელად და მღელვარების საგნად. ბუნიათიშვილის სასცენო სამოსლის ხასხასა წითელი ფერი აღნიშნავდა როგორც კოვიდზე გამარჯვებას, ასევე უკრაინელთა უსამართლოდ დანთხეულ სისხლს.

ოდა საკაცობრიო სიხარულისა და მწუხარებისა – ასე აღვწერდი ამ პროგრამას, რომელიც ერიკ სატის ღვთაებრივი ჰანგებით დაიწყო და ლისტი-ჰოროვიცის მგზნებარე უნგრული რაფსოდიით გასრულდა. ასევე შესრულდა შოპენის, ბახის, შუბერტის, კუპერინის, ლისტის საყოველთაოდ ცნობილი მუსიკა, რომელიც ხატია ბუნიათიშვილმა ისეთი დრამატურგიით წარმართა, რომ შეძლო, ბუნებრივად გამოეხატა ღრმა სინანული და ნუგეში, ამასთან, გვეგრძნო ამაყი და თავისუფლებისმოყვარე სულის მშვენიერება!

ეს ის შემთხვევა იყო, როცა „ბარბიკან ცენტრის" 2000 მსმენელი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა და მთლიანად პიანისტის სტიქიას მორჩილებდა.

ბუნიათიშვილი რომ ტექნიკური სასწაულების დიდოსტატია, ეს უდავო ჭეშმარიტება არაერთგზის დამტკიცებულა და აღნიშნული კონცერტიც ამას ღაღადებდა. ასეთ ტექნიკურ ელვარებას დიდი შრომით და ნებისყოფით შეიძლება მიაღწიო, მაგრამ იმგვარ გამორჩეულობას და უნიკალურობას, რასაც ქართველი ხელოვანი აღწევს, სჭირდება მასშტაბი, საკუთარი მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება გლობალური მოვლენების მიმართ. ეს ნაწარმოებები მანამდეც მოგვისმენია, მაგრამ ისინი ვიწრო, კამერულ ჩარჩოებს არ სცილდება ხოლმე, ხოლო როცა ამავე სანოტო ტექსტებს ხატია ბუნიათიშვილი მიმართავს, ის იმგვარი დრამატურგიითა და იდუმალებით ტვირთავს ამ მუსიკას, რომ მათი მეშვეობით ვიწყებთ მოგზაურობას დროსა და სივრცეში, ციცინათელასავით მოციმციმე მისეული პიანოებითა და მძვინვარე ფორტისიმოებით საკაცობრიო ბორგვას და გულისნუხილს ახმიანებს და თანამედროვე მსმენელში აღვივებს ფიქრს: ვინ ვართ, რა არის ადამიანის ამქვეყნად ყოფნის არსი და დანიშნულება? განა შეიძლება ვდუმდეთ, როცა ბოროტება ასე ბილწავს და ატყვევებს სიმართლესა და მშვენიერებას? ვაჟა-ფშაველას ია მახსენდება, გველი რომ შხამავს; იმ პაწია უკრაინელი გოგოს ანგელოზურ სიმღერას მაგონებს, რომლის სამუდამოდ დადუმება მოსურვებია მავანს!

რომ ხატია ბუნიათიშვილი თანამედროვეობის გამოჩენილი პიანისტია, რომელიც არასდროს ივიწყებს სიკეთეს. ვის უნახავს, რომ კონცერტის პროგრამაზე პიანისტს მიეთითებინოს თავისი პედაგოგის გვარი? ბუნიათიშვილი კი მთელ მსოფლიოს ამცნობს, რომ იგი ქართველი პიანისტის, პროფესორ თენგიზ (გიზი) ამირეჯიბის (1927-2013) მოწაფეა. ვითომ პატარა დეტალია, მაგრამ ნახეთ, როგორი საგულისხმო შეტყობინებაა? ანუ საქართველოს პიანისტური სკოლა მისით კი არ იწყება, არამედ ამ სკოლას აქვს მდიდარი ტრადიცია და ჰყავს თავისი კორიფეებიც.

გიორგი ლალიაშვილი

ლონდონი

თამარ ჯავახიშვილი – 85

თვალსაჩინო ქართველ პოეტს თამარ ჯავახიშვილს 85 წელი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა კავშირის მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო თამარ!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, სიკეთით და სათნოებით გამორჩეულ მანდილოსანს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 85-ე და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 65-ე წლისთავს. ვინც თვალს ადევნებს თქვენს ცხოვრებისეულ გზას, შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ეს წლები კეთილშობილებით, სიწმინდით, პატიოსნებითა და ერთგულებითაა ამოტვიფარული...

რა სიმბოლურია, რომ თქვენი პოეტური ხელდასმა 1957 წელს ჩვენს ალმა მატერში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა, როდესაც უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ალმანახ „პირველ სხივში" გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები.

დიდი ადამიანური სევდა და ნაღველი გამოარჩევს თქვენს ლექსებს, რომლებმაც თქვენს კრებულებში – „ლექსები" და „სანამ გვახსოვს" დაივანა. ისინი თავს გვამახსოვრებენ დახვეწილი გემოვნებითა და ნატიფი პოეტური კულტურით, ბუნებრიობით და უშუალობით. თქვენ კოლორიტული, ფიქრიანი შემოქმედი, ერთნაირი ძალმოსილებით ფლობთ როგორც ტრადიციულ კლასიკურ ფორმებს, ისე თავისუფალ ლექსსაც და ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტ ქართველ პოეტად რჩებით, რომლის მახსოვრობის უღრანებში შემორჩენილა ის შემზარავი სურათები, დღესაც რომ გვაფორიაქებს და მოსვენებას გვიკარგავს. თუ რამ გენატრებათ, სითბო გენატრებათ, ადამიანური სითბო სულიერად გაუდაბნოებულ მამულში, თავად კი სრულად იხარჯებით მოყვასის სიყვარულში.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, პოლონურ, რუსულ ენებზე, გაშოქვეყნდა ისეთ ანთოლოგიებში, როგორიცაა ქართული პოეზიის ორტომეული და თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია.

სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის კინოგაქირავების სარეკლამო ბიუროში მთარგმნელად, კინოკორპორაცია „ქართული ფილმის" აღსადგენი და სადუბლიაჟო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორად და ყველგან ქართული ხელოვნების ჭირისუფლად გვევლინებოდით...

ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერანაირად ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ, როგორც პოეტი იტყოდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს ქართული მწერლობის კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის ქარსაცავ ზოლს წარმოადგენდით, როგორც მეუღლე და თანამებრძოლი.

თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება გიორგი ლეონიძისა და ანა კალანდაძის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ქალბატონო თამარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი მიზნების განხორციელებას.

საქართველოს
მწერალთა კავშირი

კიდევ ერთი გრამატიკული შეპასუხება პატივცემულ პროფესორს...

ცოტა არ იყოს, მართლაც გლახაჭრიაშვილისეული „ჭიანური" გამოგვდის, მაგრამ რახან ნათქვამია, შეგნებულთან ომი სჯობია, შეუგნებელთან ლხინსო, მეც ნეტავი არ ვცდებოდე, ჩემი ამჟამინდელი გაგებით, შეგნებულ პროფესორთან ვამჯობინე „გრამატიკული ომი". თუმცა, პატივცემულ პროფესორისგან განსხვავებით, გრამატიკოსობას ვერ დავიჩემებ. მაგრამ ჩემი დევიზი ყოველთვის იყო, სწავლა სიბერემდეო, და სწავლაზე ხელი არც ახლა, უკვე კარგა გვარიანად ხანდაზმულს, ამიღია.

პატივცემული პროფესორი, ამჯერად უკვე თავის მეწყვილესთან ერთად, ჩანს, მეტი გულოვნობისთვის, სწორედ ჩემს ასაკს ებღაუჭება: **„ბ-ნი გურამი სარგებლობს იმ სიბრძნით, რომ ჩემი ასაკის კაცს ტყუილიც დაეჯერებაო"... „არა, ბატონო გურამ, ტყუილს ვერ დაგიჯერებთ"...** და ჩამოთვლის ჩემს „ტყუილებს": **„გადმოენებული რა ფორმაა? თქვენს გრამატიკულ განსწავლულობას ეს ეკადრება?"** (ყასიდად გულის მოსაგებ ჩართვა პაექრობაში, აი, ბატონო, შენს კარგსაც ხომ ვხედავთო, დღეს კომერციულ რეპლიკას! უწოდებენ – გ. გ.) **აი ნახეთ:**

წერს – გადმო-წერს-გადმო-მ-წერი; ასე უნდა იყოს ესეც:

აენებს – გადმო-აენებს – გადმო-მ(ა)-ენებელი... პრეფიქსი მ ზმნისწინის წინ არ შეიძლება, ბატონო გადმომენებელო!.. აი, ხომ ხედავთ, ამ ტერმინმა („გადმოენება"), თქვენც კი დაგაბნიათ. მიიღეთ ჩვენი რჩევა: დაჯერდით „მთარგმნელობას"... და მარჯვენა ხელით გაწნული სილის შემდეგ მარცხენა ხელით, წითელ კოჭს მიგორებს: **„შესანიშნავი მთარგმნელი ბრძანდებით. ეს ჩვენგან ქათინაურიო, შენი ასაკის კაცს მეტი რა გითხრათო"** (ისევ კომერციული რეპლიკა!). ისე ეთამაშება პატივცემული პროფესორი ჩემს ასაკს, თითქოს თვითონ გუშინდელი ბიჭუკელა მყავდეს... და თავადაც სიბერის აქლემის აღვირი არ ეჭიროს იმ ხელით, რომლითაც ქართულ გრამატიკაში ორიანს მიწერს...

მაგრამ მთლად ასე არ არის საქმე, პატივცემულო გრამატიკოსო, ზმნისწინის წინ პრეფიქსი **მ** შეიძლება თუ არა, ეს ბევრმა სხვამაც იცის და, ალბათ, ბევრად მეტიც იცის.

მოგეხსენებათ, კითხვა კითხვით, ინდოეთს მივლენო, მეც სწორედ ამ გზით გადავწყვიტე „ინდოეთს მისვლა", რათა სათანადო პასუხი გამეცა თქვენთვის. აქეთ სულგანათლებული აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა შევანუხე, იქით ვარლამ თოფურია და ივანე გიგინეიშვილი, ცხადია, ამ ფრიად ღვაწლმოსილ ქართველთა შრომებზე მაქვს ლაპარაკი; შევაწუხე აგრეთვე ბევრი სხვაც ცოცხალთაგან, ამ საქმის დიდად მცოდნენი, რომელთაც გავაცანი ჩვენი „გრამატიკული ომის" დროს გაჩენილი ქართული ზმნის „შევიწროება" – „შეზლუდვის" ამბავი, ანუ პატივცემული გრამატიკოსის მხრივ აჩემებული „დისკრიმინაცია", ჩვენი ხანგრძლივი საუბრისას აშკარად გამოიკვეთა, რომ ქართული მწიგნობრობის ისტორიის კვლევის თანამედროვე ეტაპზე ნამდვილად უხერხულია უდიდესი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შესახებ იმის თქმა, რომ **„ენასთან ჭიდილში დამარცხდა ეს უდიდესი მოაზროვნე".** დღეს, როდესაც ამდენი მაღალმეცნიერული კვლევა არსებობს იოანე პეტრიწის მთარგმნელობით-ფილოსოფიური მემკვიდრეობის და, მათ შორის, სწორედ სპეციალური ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების შესახებ, ყველა წიგნიერმა ადამიანმა იცის, რომ პეტრიწმა არაერთი სერიოზული ბრძოლა მოიგო ქართული ენის სრულფასოვანი დამკვიდრებისთვის საღვთისმეტყველო--ფილოსოფიურ ასპარეზზე. ამიტომაც ამბობს პეტრიწის ენის ჩინებული მკვლევარი **დამანა მელიქიშვილი: „პეტრიწმა დაამუშავა, დააზუსტა და სისტემაში მოიყვანა ქართული ფილოსოფიური ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატი, შექმნა პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის ცნებითი სისტემის შესატყვისი ნათელი და გამჭვირვალე ტერმინოლოგიური სისტემა".**

ცნობილია, რომ არაერთგზის ზოგადი ტერმინის დამკვიდრებას სწორედ პეტრიწს უნდა ვუმადლიდეთ და თვით მისი ისეთი „ხელოვნური" ტერმინებიც კი, როგორებიცაა: „აი" (იოტათი) და „აობა" ღრმად მეცნიერული ანალიზის შედეგად ქართული ენის შესაძლებლობების გასაოცარ წვდომად წარმოგვიდგება.

მეორეც, სწორედ გრამატიკოსისგან არის მოულოდნელი მიზანში ამოღებული პეტრიწისეული წარმოების – „გადმოენების" შესახებ იმის თქმა, რომ მას **„არ ეყო პეტრიწის ავტორიტეტიც კი, რადგანაც ხელოვნური იყო".** თუ ამას დავიჯერებთ, მაშინ ნასახელარი ზმნები ყოფილა საერთოდ ასეთი. ეს კი აბსურდია, რადგან ქართული ზმნების დიდი ნაწილი დიახაც ნასახელარია: თვით „ენა", სიტყვაც აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში. დავით გურამიშვილი გავიხსენოთ: **„გამოსულხართ და დადიხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ".** შეიძლება ვინმე „გრამატიკოსმა" თქვას, ხელოვნურიაო! მაშინ შევახსენებთ ფშავ-ხევსურულს: **ენაობს, იენავებს, ენაუნაობს.** რუსთაველისეული „ხელოვნურია": **„ჩემთა მტერთა ენაპირე!"** მაგრამ განა სხვას არ გვეუბნება ჩვეულებრივი ქართული „განაპირება"?...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სწორედ ენათმეცნიერმა უნდა იცოდეს, რომ თავად ტერმინი „გადმოთარგმნა" ყველა ზმნური და სახელზმნური ფორმით უცხოური „თარგმანი" სახელისაგან (ნიშნავდა „მთარგმნელს") არის ნაწარმოები. იქნებ ამ უკანასკნელმა ათვალწუნებულ „გადმოენებას" ბუნებრიობით კი არ აჯობა, არამედ იმით, რომ ის უცხოური იყო და იქნებ სწორედ ამ წამხედურობის თვისებასაც ებრძოდა სულკურთხეული იოანე პეტრიწი?!

ყველა თავისი არჩევანით იცნობა, მე კი, როგორც ხედავთ, პეტრიწის მხარეს დგომას ვამჯობინებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოზიციის უიმედობაც კარგად მაქვს გააზრებული (ესეც ნასახელარი მიმღეობაა!), რადგან „გრამატიკოსები" მრავლად არიან!

რეპლიკის ბოლოს, გავიღიმოთო, ბრძანებთ, პატივცემულო გრამატიკოსო, და მართალი გითხრათ, ვერ გავიგე თქვენეული **ავისა** და **კარგის** გარჩევის პრინციპი – **კარგია, როცა სხვას ვართმევ ცოლს, ცუდია, როცა მე მართმევენ ცოლსო...** რაღაცას უკაკანებ, ცოტა არ იყოს, უხერხულად, მაგრამ რას? ნამდვილად არ ვიცოდი, თუ თქვენი ხნის გრამატიკოსს ქართულ გრამატიკაზე მეტად ცოლების ნაგვრა-წამოგვრა უფრო გონდახელგეწიფებოდათ აგრერიგად... აფერუმ თქვენს მუსუსობა-მექალთანეობას!

ერთი სიტყვით, ხუმარსიტყვის ხასიათზე მოსულო, პატივცემულო პროფესორო-გრამატიკოსო, ხუმრობა იქით იყოს და ეს სიბრძნე-სწავლა სიბერემდეო (თუმცა, სიბერემდე სიქაჩლეც უთქვამთ!), მგონი, არც თქვენ გაწყენდათ, და რა თქმა უნდა, არც თქვენს ამფაზ-მეწყვილეს. ერთხელ და სამუდამოდ შეეშვით გლახაჭრიაშვილის „ჭიანურს", მეტი პროფესიული თვალით ჩახედეთ ჩვენი დიდი წინაპრების შრომებს, მიიღეთ, როგორც თქვენ ბრძანებთ ირონიულად, ჩემი, დაუნდობელის გულწრფელი რჩევა, „ჩაუშვით" არცოდნა-არცოდვის ღუზა... კი, ბატონო, გეთანხმები, იქნებ მართლა მეტი გვეფიქრა პრობლემებზე, მით უმეტეს, რომ ქართულ ენას დღეს მაინცდამაინც არ ულხინს....

არცოდნის არცოდვად მგადმოენებელ-გადმომაენებელი, ამჯერადაც დაუნდობელი

გურამ გოგიაშვილი

▶▶ პირველი გვერდიდან

პირისპირებოდნენ თვით რუსეთის დროებით მთავრობასაც. ჟორდანია და მისი თანაპარტიელები შეიკრიბნენ და დროებით მთავრობას დეპეშით შეუთვალეს, რომ ამგვარი შემადგენლობის ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს არ დაემორჩილებოდნენ. საქართველოში კიდევ ერთხელ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ – ერთ მხარეს სოციალ-დემოკრატები და მეორე მხარეს ეროვნული პარტიები – სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. გაზეთები აივსო ურთიერთბრალდებებით, ცილისწამებით, აგრესიული გამონათქვამებით. ბუნებრივია, პარტიების დაპირისპირებას საზოგადოებაც აჰყვა. სოციალ-დემოკრატიული „თანამედროვე აზრი“ აბაშიძის წინააღმდეგ გამოვიდა, ხოლო ფედერალისტურ „სახალხო ფურცელსა“ და ეროვნულ-დემოკრატიულ „საქართველოში“, ქართული ინტელიგენცია, მწერლები, კულტურის მრავალრიცხოვანი მოღვაწენი ენერგიულად იცავდნენ კიტა აბაშიძის კანდიდატურას.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა დროებითი მთავრობის ნაბიჯმა – მან კიტა აბაშიძის მაგივრად ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობაში ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი შეიყვანა. ახლა სოციალისტ-ფედერალისტები აფეთქდნენ. „საპროტესტო დეპეშები“ გაუგზავნეს რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს გიორგი ლვოვს.

„კიტა აბაშიძის გადაყენებას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, – აცხადებდნენ გიორგი ლასხიშვილი და მისი თანაპარტიელები, ეს იმას ნიშნავს, რომ ზურგი შეაქციეს საქართველოს უდიდეს საჭიროებას – მის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, რაც ნიშნავს ქართველი ერის თვითარსებობის საკითხის დასამარებას. ღრმად აღშფოთებული ვაცხადებთ პროტესტს“.

ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. სოციალ-დემოკრატებს თუ რაოდენობრივად მეტი „მასა“ უჭერდა მხარს, სოციალისტ-ფედერალისტებს მთელი ქართველი ინტელიგენცია უცხადებდა სოლიდარობას. ზედიზედ ეწყობოდა შეკრებები. ნოე ჟორდანიას მისამართით უკმაყოფილებას აცხადებდა მწერალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც სოციალ-დემოკრატების ლიდერს ბრალს სდებდა, რომ ახლა, „როცა მომაკვდინებელი ძალა რუსთა მეფობისა დაილეწა“, თქვენც სამარცხვინო ძალადობას მიმართავთო“. გიორგი ლვოვის სახელზე საპროტესტო დეპეშები გაგზავნეს ქართველმა ქალებმა, საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებმა, იმერეთში, ხრესილის რაიონის მრავალრიცხოვანმა მიტინგმა და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატებმა კომპრომისული წინადადება წამოაყენეს. „შეცდომა უნდა გამოსწორდეს“, დაასკვნიდა გაზეთი „საქართველო“. კომიტეტში კიტა აბაშიძე უნდა დაებრუნებინათ.

ბოლოს და ბოლოს სოციალ-დემოკრატებმაც თავისი გაიტანეს და სოციალისტ-ფედერალისტებმაც, ორივე ქართველი მოღვაწე დარჩა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობაში – აბაშიძეც და ჩხენკელიც. მაგრამ ამგვარი მწვავე კონკურენციის შედეგი აჩენდა მოლოდინს, რომ რუსული მონარქიის 117-წლოვანი ბატონობისაგან გათავისუფლებული საქართველო, კვლავ პარტიათა შორის დაპირისპირებასა და მუდმივი კონფრონტაციის სტიქიაში ჩაიძირებოდა.

ასე იყო 1892 წლიდან, როცა შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში (მესამე დასი), რომელიც მტრულად დაუპირისპირდა ეროვნულ-კულტურულ ძალებს;

ასე იყო 1900 წელს, როცა „ქართული სოციალ-დემოკრატიის დალაი-ლამად“ წოდებული ჟორდანია, ილია ჭავჭავაძეს დაუპირისპირდა და რეაქციის დამცველად გამოაცხადა იგი;

ასე იყო 1904 წელს, როცა ჟენევაში შეკრებილ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და ფრაქციათა კონფერენციას იქ მიწვეულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა განუცხადეს, ჩვენ თქვენთან, „ქართველ ნაციონალისტებთან“ ვერ ვითანამშრომლებთო;

ასე იყო 1905 წელს, როცა ბოლშევიკმა ფილიპე მახარაძემ ილია ჭავჭავაძე გლეხობის მჩაგვრელად გამოაცხადა, მაშინ ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ ილიას დასაცავად გამოსვლა გაებედა;

ასე გაგრძელდა მომდევნო ათწლეულში, როცა ნოე ჟორდანია და მისი თანამებრძოლები მტრულად უპირისპირდებოდნენ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ბანაკის ყველა პარტიას, ფრაქციას და ეროვნულ ინტელიგენციას.

ასე დაიწყო 1917 წელიც და ისეთი პირი უჩანდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა კვლავ ორ შეურიგებელ ბანაკად დარჩებოდა.

მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ.

1917 წლის 4 აპრილს, თბილისში შეიკრიბნენ სამი ყველაზე გავლენიანი პარტიის წარმომადგენლები და შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებდნენ ერთმანეთთან – ქართველი ხალხის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადასაჭრელად. პირველ რიგში, აქ შეიკრიბნენ სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები და ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან ეს ორი პარტია დიდი ხანია ერთმანეთთან სოლიდარული იყო. მო-



ულოდნელი ის იყო, რომ – პირველ ქართულ ინტერპარტიულ კრებაზე მოვიდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ისინი, რომლებიც უკვე 20-25 წელი იყო, შეურიგებლად ებრძოდნენ ქართველ „ნაციონალისტებს“. სოციალ-დემოკრატები და ზემოაღნიშნული სხვა პარტიები 16 აპრილსაც შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ, რომ ყველა ეროვნულ საჭირბოროტო საკითხს ერთად განიხილავდნენ.

რაც მთავარია, ეს არ იყო ეპიზოდური შეხვედრები, არამედ ეს იყო უკვე სტრატეგიული შემოტრიალება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. 1917 წლის 3 აგვისტოს შეიქმნა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო – „ქართველი ერის საინფორმაციო ბიურო“, რომელშიც შევიდნენ ზემოთ დასახელებული პარტიები და მათ მიემატა კიდევ ერთი პოლიტიკური პარტია – ქართველი ესერები ანუ სოციალისტ-რევოლუციონერები. 21 აგვისტოს „ბიუროს“ სახელი შეეცვალა და ეწოდა „საქართველოს ინტერპარტიული საბჭო“.

1917 წლის 19 ნოემბერს სწორედ ამ „ინტერპარტიულმა საბჭომ“ მოიწვია საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. აქ უკვე მხოლოდ პოლიტიკური პარტიები აღარ იყვნენ მონაწილენი. აქ თითქმის ქვეყნის რეალობის ყველა სფეროს წარმომადგენლები იყვნენ – ინტელიგენციის, მეცნიერების, მწერლობის, კულტურის, საფინანსო წრეების, მუშების, გლეხობის, რეგიონების და სხვათა და სხვათა. აქ შეიქმნა უკვე – ეროვნული საბჭო – საქართველოს არაოფიციალური მთავრობა, თავისი სექციებით (ჩანასახობრივი სამინისტროებით). ეროვნულმა საბჭომ თავის უპირველეს მიზნად ქართული სახელმწიფოს აღდგენა გამოაცხადა.

ერთი სიტყვით, შეთანხმება და თანამშრომლობა პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურმა ელიტამ შეძლო.

ეს მათ შეძლეს – მაშინდელმა პოლიტიკურმა პარტიებმა: სოციალ-დემოკრატებმა – აკაკი ჩხენკელმა, ნოე რამიშვილმა, ნოე ჟორდანიამ, ევგენი გეგეჭკორმა, ვლასა მგელაძემ, ალექსანდრე ლომთათიძემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, კარლო ჩხეიძემ, ნოე ხომერიკმა, გოგიტა ფაღავამ...

სოციალისტ-ფედერალისტებმა – გიორგი ლასხიშვილმა, იოსებ ბარათაშვილმა, გრიგოლ რცხილაძემ, შალვა ალექსი-მესხიშვილმა, კიტა აბაშიძემ, გიორგი ზდანოვიჩმა-მაიაშვილმა, სვიმონ მდივანმა, თედო ღლონტმა, შალვა ნუცუბიძემ...

ეროვნულ-დემოკრატებმა – ნიკო ნიკოლაძემ, სპირიდონ კედიამ, გიორგი გვაზავამ, შალვა ამირეჯიბმა, გიორგი ჟურულმა, კონსტანტინე აფხაზმა, მიხაკო წერეთელმა, რეზო გაბაშვილმა, გერონტი ქიქოძემ, აკაკი ფაღავამ,...

სხვა პოლიტიკოსმა მოღვაწეებმა, რომელნიც სამსახურში ედგნენ ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს – ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა, ესერმა გრიგოლ ნათაძემ, დიპლომატმა ზურაბ ავალიშვილმა.

დიდმა ქართველმა მეცნიერებმა, მწერლებმა, კულტურის მოღვაწეებმა, რომელნიც გვერდში ამოუდგნენ დამოუკიდებელ საქართველოს, მიუხედავად იმისა, მოსწონდათ თუ არა ხელისუფლება. ისინი ქვეყანას ემსახურებოდნენ და არა ხელისუფლებს – ივანე ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ რობაქიძემ, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, სანდრო ახმეტელმა, გიორგი ლეონიძემ, ლადო გუდიაშვილმა...

გალაკტიონ ტაბიძე 26 მაისს სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე მიესალმა:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლოს მთებია!
მე რალაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...
ირგვლივ ზვირთებია
და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები!

დამოუკიდებელ საქართველოს გოგლა ლეონიძეც მიესალმა ლექსით „26 მაისი“:

შვინდის დროშებით გავაგიჟებ ყომრალ
მოედანს...
დღევანდელი მზე საქართველოს ისევ მოიტანს.
ნელდება ცეცხლის კოშმარებში ოდრიკალები –
თეთრი ფიქრები მახვევია მადრიგალებად...

იმ პოლიტიკურმა ელიტამ შეძლო და შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობა, რომელშიც 4 სოციალ-დემოკრატი იყო და ამდენივე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი. პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურმა ელიტამ სოციალური და სამოქალაქო ზავისა და მშვიდობის ხანა დაამყარა საქართველოში და საერთო ძალისხმევით მართა ქვეყანა.

არა, იმას სულაც არ ვამტკიცებ, რომ თითქოს მაშინ იდეალური სოლიდარობა მეფობდა. არა, მაშინაც მწვავედ ეკამათებოდნენ ერთმანეთს, შეურაცხყოფდნენ კიდეც, ხანდახან მუშტი-კრივსა და რუსულად დედის მოკითხვასაც არ ერიდებოდნენ. მაგრამ ძირითადი, წამყვანი და სტრატეგიული პრინციპი თანამშრომლობა და თანხმობა იყო.

ასეა თუ ისე, თამამად უნდა ითქვას, პირველი რესპუბლიკის წლებში ახდა ილია ჭავჭავაძის ოცნება და არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური წინასწარმეტყველება ქართველი ერის ერთიანობისა და პოლიტიკური ელიტის თანამშრომლობის შესახებ და ეს არის პირველი რესპუბლიკის უპირველესი გაკვეთილი და ანდერძიც.

ახლა ისა ვთქვათ, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, ჩვენ „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“. 1990 წლის ნოემბერში, ახალმა ეროვნულმა ხელისუფლებამ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, დოკუმენტი გაავრცელა, ალბათ ზვიად გამსახურდიას მიერ დაწერილი „მიმართვა სრულიად საქართველოსადმი“. ის უპირველესად ოპოზიციისადმი იყო მიმართული: „საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი“.

ამ მოწოდებას მყისიერად გამოეპასუხა ე.წ. „ეროვნული კონგრესი“, რომელმაც წინასწარვე დაწვა ხელისუფლებასთან მისასვლელი ხიდი და ის „უკანონოდ“ გამოაცხადა. მაშინდელ ოპოზიციას არ უნდოდა კომპრომისი, თანამშრომლობა, მან თავიდანვე გადაწყვიტა – ან ის, ან მე. ამგვარი პრინციპის შედეგი იყო 1991-1992 წლების შეიარაღებული ამბოხება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა. მას შემდეგ, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ან არც სცადა ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარების პირობების უზრუნველყოფა, ოპოზიციის შემორიგება. პირიქით, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოსული უფურპაციორული ხელისუფლება სისხლიანი რევრესიების გზით შეუდგა ოპოზიციის განეიტრალებას და მიაღწია კიდეც მიზანს – გამსახურდიას მხარდამჭერი ოპოზიცია თითქმის გაქრა პოლიტიკური ველიდან, ზოგი პარტია გაუქმდა, ხოლო მისი წევრები სხვადასხვა პარტიებში გადანაწილდნენ.

შევარდნაძის ხელისუფლებამ და სახელისუფლო ელიტამ არ მოისურვა გამსახურდიას მომხრეებთან თანამშრომლობა. ეს არ გააკეთა შევარდნაძის ბანაკმაც, მოქალაქეთა კავშირმა, აგრეთვე, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, სხვა წვრილმანმა შემადგენელმა ეგოჯგუფებმა.

ეს იყო შერიგების პოტენციალის პირველი გამოუყენებლობა, დავარქვათ მას – შერიგების პოლიტიკის პირველი უარყოფა. ამ უგუნურების მონაწილენი სხვებიც იყვნენ, გარდა ზემოაღნიშნული პარტიებისა – შევარდნაძის გარშემო შემოკრებილი ქართული რჩეული ინტელიგენციის უმრავლესობა, რევანშისტული, დაბრმავებული, საკუთარი ეგომიზნებით აყვანილი და სამუდამოდ შერცხვენილი ისტორიის წინაშე, რომელმაც მთელ წინანდელი დამსახურება წყალში ჩააპირქვავა. სამწუხაროდ, ასე მოხდა.

ამასობაში შევარდნაძეს ახალი ოპოზიცია გაუჩნდა – პოლიტიკოსთა ახალი თაობა, რეფორმატორების გუნდი, რომლებსაც სხვებიც უჭერდნენ მხარს, მათ შორის, გამსახურდიას ყოფილი ,გაფანტული მომხრენი. მოკლედ ვთქვათ, ნაციონალებმა ბევრი პოზიტივი შექმნეს ქართულ რეალობაში, მაგრამ ოპოზიციასთან დამოკიდებულებაში მათი პოლიტიკა ძველის გამეორება და გაგრძელება იყო – შეუწყნარებლობა და სისასტიკის შემცველი ფორმულა – ნულოვანი ტოლერანტობა.

ერთი მხრივ, მათ „ჩარეცხილებად“ გამოაცხადეს მთელი ელიტარული „ინნილიგენცია“, ხოლო მეორე მხრივ, სცადეს პოლიტიკური ოპოზიციის ძალადობრივი განეიტრალება. ამგვარი მიზანი კი, რაც უნდა პოზიტიური პერსპექტივის მატარებელი იდეა ყოფილიყო, უტოპიური გახლდათ, რადგან ოპოზიცია ძალიან მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო ხელისუფლების მომხრენი კი შედარებით შემცირებულნი.

ნაციონალების ხელისუფლება დამარცხდა, მაგრამ ჩვენ, განსახილველ თემას რომ არ ავცდეთ, დავასკვნათ, რომ ნაციონალების შეუწყნარებელი პოლიტიკა ოპოზიციისადმი იყო თანხმობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობის მეორე უარყოფა ჩვენს უახლეს ისტორიაში. მესამე უარყოფა 2012 წლიდან დაიწყო, როცა ყოფილი ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდა. „ქართულმა ოცნებამ“ თავიდანვე მიიჩნია, რომ ნაციონალებთან მორიგება-თანაარსებობა შეუძლებელია და საჭიროც არაა. განვლილმა ათმა წელმა ცხადყო, რომ ოპოზიციაც იმავე აზრისაა არსებულ ხელისუფლებაზე. ორივე ძალა, რომელიც დღეს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მთავარ ბანაკებს ქმნის, ურთიერთშეურიგებელია, მათ არ ძალუძთ თანხმობა, თანამშრომლობა, ცივილიზებული ურთიერთდამოკიდებულება. მათი ურთიერთობაც აგებულია ძველ, ტრადიციად ქცეულ პრინციპზე – ან ის, ან მე. პროცესს წარმართავს ეგზისტენციური პრიმატი, ერთის გამარჯვება მეორის დასამარების პოტენციალის შემცველია.

ამგვარი რეალობა ჩიხში აქცევს ქვეყანას, საზოგადოებას. პოლიტიკური ჩიხი, მუდმივი კონფრონტაცია სულ უფრო ითრევს საზოგადოებას და პერმანენტულად ამახინჯებს მას, ფსიქოლოგიას ურყევს, ზნეობრიობას აქვეითებს. ჩახედეთ სოციალურ ქსელებს, ის ურთიერთსიძულვილითაა გაჟღენთილი.

ასე ვხვდებით მორიგ 26 მაისს. ჩვენმა პოლიტელიტამ და საზოგადოებამ უიმედოდ დაიხია უკან. საუკუნისწინანდელთან შედარებით, ის არაპროფესიონალურია, არაკომპეტენტურია, არაშემოქმედებითია, არაშეგნებულია, არაინტელექტუალურია, არაკოლექტიურია, არაკონსოლიდირებულია, არაგანვითარებადია, არაიდეურია და არაპერსპექტიულია.

ამგვარ ვითარებაში ისევ გარეთ თუ მოხდება რაიმე გამოსავლის მქონე, ისეთი საერთაშორისო ცვლილება, რომელიც გეოპოლიტიკურ ვითარებას შეცვლის ჩვენს სასიკეთოდ. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

მშვიდობის ქართული პარადიგმა

παράδειγμα (პარადიგმა) – ბერძნ. ნიმუში, მაგალითი, ეტალონი.
„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“
(ქართული საზრისი)



„ნაშრომში ევროკავშირის ახალ სამოქმედო პლატფორმაზე დაყრდნობით გაანალიზებულია თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის როლი **საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების რეგულირების პროცესში,** – ვკითხულობთ დიპლომატიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი ზურაბ ხონელიძის წიგნის „მშვიდობის ქართული პარადიგმა“-ს ანოტაციაში. – **ავტორმა თვალი მიადევნა მრავალსაუკუნოვანი ქართული გამოცდილების – სამშვიდობო ძიების პროცესში განათლებისა და დიპლომატიის, როგორც სახელმწიფოებრიობის მდგრადი და უწყვეტი განვითარების ინსტრუმენტს. ამ ისტორიულ გამოცდილებასა და წრფელ, შინაგანი მოთხოვნილებით წარმოქმნილ აზრს ეფუძნება ნაშრომში შემოთავაზებული განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულება – საუნივერსიტეტო დიპლომატია, როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ფორმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი სახეობა.“** წიგნის მთავარი რედაქტორია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი **ლადო ჭანტურია** (საქართველო); რედაქტორ-გამომცემელი – პუბლიცისტი **ზაურ ნაჭყებია.** წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიშნებს რეცენზენტების გეოგრაფიული არეალი: **დებორა ვინსოლოუ ნუტერი,** დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების გლობალური სამაგისტრო პროგრამების დამფუძნებელი დირექტორი, ტაფტსის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სამართლის სკოლა (აშშ), **ალან ჰენრიკსონი,** ლი ე. დირკის დიპლომატიური ისტორიის საპატიო პროფესორი და დიპლომატიური კვლევების დამფუძნებელი დირექტორი ტაფტსის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სკოლაში (აშშ), **მაიკლ ქაუგილი,** საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) პრეზიდენტი (აშშ-საქართველო), **გია ხუბუა,** სამართლის დოქტორი, ბერლინის Steinbeis University-ის რექტორი, პროფესორი (გერმანია-საქართველო), **სერგეი ბორისოვი,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საექსპერტო ცენტრი „Мера“-ს დირექტორი, სოციოლოგი (რუსეთი), **ჰალიკ ბარი,** ქნესეთის ვიცე-სპიკერი (ისრაელი), **იბრაჰიმ თელლიოღლუა,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (თურქეთი), **საიდ მულიანი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ირანი), **ნამიკ ალიევი,** საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სამართლის დოქტორი, პროფესორი (აზერბაიჯანი), **სურენ არუთინიანი,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (სომხეთი), **მიკოლა რიჟკოვი,** პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (უკრაინა); წიგნს ამშვენებს მეცნიერული აზროვნების ეროვნული კოჰორტა: **გიორგი ანჩაბაძე, ლია ახალაძე, სერგო ვარდოსანიძე, ნათელა ვასაძე, როინ მეტრეველი, გურამ ნიკოლაიშვილი, ბადრი ნაჭყებია, ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ვალერი ჩეჩელაშვილი, მერაბ ჩუხუა, ნოდარ ჭითანავა.**

საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის სტრატეგიაზე მსჯელობისას უამრავ პლატფორმას შორის დღემდე ორი საყურადღებო დამოკიდებულების დასახელება შემიძლია: ბატონი **გია ჟორჟოლიანის** (პარტია „სოციალ-დემოკრატები – საქართველოს განვითარებისათვის“ ლიდერი) ოთხი მიმართულება, სადაც ნამყვანია ინდუსტრიალიზაცია: თვითმფრინავების, გემების, მანქანების მშენებლობა. შემდგომ – მსუბუქი მრეწველობა, ამას მოსდევს სასოფლო-სამეურნეო დარგის აღორძინება და ბოლოს – განათლება, ტურიზმი.

გეოსტრატეგიულ დამოკიდებულებაში მხცოვანი სახელმწიფი მოხელისა და მეცნიერის, ბატონი **ნოდარ ჭითანავას** მიმართება განსხვავებულია და ეროვნული პრაგმატულობით ნასაზრდოები. იგი ქვეყნისთვის უმთავრეს ბერკეტად ასახელებს აგრარულ მიმართულებას, რადგანაც დაკავშირებულია მიწის მოვლა-პატრონობასთან, ურომლისოდ ქართველ ერს მომავალი არ უწერია. ამ უმთავრეს ამოსავალ პირობას ბატონი ნოდარი უწყვილებს **სამოქალაქო ინტეგრაციას** და **პოლიტიკურ კონსენსუსს.**

აი, ამ ორ, ჩემთვის მისაღებ ხედვას დაემატა სრულიად ახალი მიდგომა საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის თვალსანიერით, რომელიც გაცხადებულია პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი **ზურაბ ხონელიძის** მეტად საჭირო სამენოვან (ქართულ-ინგლისურ-რუსული) მონოგრაფიაში წერილისთვის შერჩეული სათაურით. ამ ნაშრომის მეორე ნაწილს, **სამხრეთ-კავკასიის გეოსტრატეგიული სივრცე,** რამდენიმე წლის წინათ გავცნობივარ, როგორც მუშაობის პროცესში, ისე ბროშურის სახით. ახლა კი, ერთობლიობაში, წიგნი წარმოგვიდგენს სახელმწიფოთმშენებლობის სრულიად ახლებურ კონცეფციას.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაბუის, ნეტარი **შალვა ფეტელავას** გასვენებაზე ჩამოსულ სისხლხორცს ჩემსას, **ზვიად ფეტელავას** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტის კარებს მივაყენებ წინასწარი შეთანხმებისამებრ. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ფესვი ლონდონის ერთ-ერთი ნამყვანი უნივერსიტეტის (City of London) დოქტორანტურის პირველი კურსის სტუდენტია, და უფროს კოლეგასთან მისი წარდგინება ჩემთვისაც რაღაც ცნობისწადილის მაგვარს შეიცავდა, როგორც პოლიტიკით დაინტერესებული ხელოვანისათვის.

რექტორის კაბინეტში დიალოგმა ლამის სამი საათი გასტანა. ძირითადად ბატონი ზურაბი საუბრობდა, რომელიც ძირფესვიანად უხსნიდა მომავალ დიპლომატს წიგნში აღძრულ მიმართულებებს. ჩემთვის ნარუშლელი დარჩა ახალგაზრდა სისხლხორცის მართლაცდა შესაშური ნონასწორობა, მოზომილი ინტერესი ამა თუ იმ საკითხისადმი. ზვიადი არაფერს ინიშნავდა, მაგრამ მისი აზრიანი აქცენტები მთელი საუბრის განმავლობაში გულს სიხარულით მივსებდა.

სარეცენზიო წერილს ამ კუთხით რომ წარმოვაჩენ, ამას ერთგვარი გამართლება აქვს – ბატონმა ზურაბმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა ახალგაზრდა კოლეგას, თუკი საკითხი ნამოიჭრებოდა ამ ორ უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმებაზე შემდგომი თანამშრომლობისათვის და წიგნების მთელი შეკვრა უსახსოვრა თავის ამხანაგებთან თუ პროფესორ-მასწავლებლებთან წარსადგენად.

გავიდა დრო. ზვიადთან სატელეფონო შეხმიანებისას გაირკვა, რომ წარმატებით გაუვლია პირველი კურსის სწავლების მომთენთავი პროცედურები. იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩენილა მისი გულმოდგინება პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ლამის უპრეცედენტო მაგალითის მომსწრენი შევიქენით – ისინი დიდად ემადლიერებოდნენ ზვიადის მშობლებს ახალგაზრდა დოქტორანტის სწავლის საქმეში. მაღალი პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი, ყველაფერთან ერთად, სულში მახრასავით შემოჩენილი თემა გახლდათ – რექტორის მიერ საინგლისოდ გატანებული წიგნის ეგზემპლარები და შეფასებანი. ბოლოს და ბოლოს. ჩემთვის სასიხარულოდ, აღმოჩნდა, რომ ბატონი **ზურაბის კონცეფციას ფურორი მოუხდენია ლონდონელ კოლეგებში.** მეტიც, მას რევოლუციური უწოდეს თურმე, რადგანაც წიგნი ახალგაზრდა თაობის სახელმწიფოებრივად მომზადებაზე აკეთებს აქცენტებს, რაც თავად ლონდონშიც კი არსებული რუტინული სასწავლო პროცესის ძირეულ გარდაქმნას გულისხმობს, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენეულ, ნუცასსკოლისეულ თუ თხა და გიგოს ტრაგიკომიკურ რეალობაზე.

ბატონი ზურაბის წიგნის პრეზენტაციას სამგზის დავესწარი – ტექნიკურ და სოხუმის უნივერსიტეტებსა თუ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მაგრამ, რაც უშუალოდ რექტორთან სამსაათიანმა საუბარმა მომცა, ის შთაბეჭდილება ვერაფერმა გამიქარწყლა, წარმოიდგინეთ, თვით წიგნის გულისყურით წაკითხვამაც კი.

„მშვიდობის ქართული პარადიგმა“ ნამდვილად რევოლუციური მიდგომაა თამამედროვე პოლიტოლოგიაში. მას საუნივერსიტეტო სივრცე პოლიტიკურ რელსებზე გადაჰყავს ეგრევე, როცა თავად საგანმანათლებლო ავტონომია პროკრუსტეს სარეცელზე აწვენს ახალგაზრდობის განათლების ბედ-იღბალს. იყო სახელმწიფოს მშენებელი – უნინარესად ნიშნავს, გაგაჩნდეს ჭეშმარიტი ცოდნა საგნებსა და მოვლენებზე. მხოლოდ თუნდაც მართებულად მოფიქრალი პოლიტოლოგებით სახელმწიფო ვერაფრით შედგება, ამავდროულად თუ არ გეყოლება მაღალკვალიფიციური ინჟინრები, ექიმები, მშენებლები, აგროსექტორის წარმომადგენლები. რევოლუციური იმიტომაც გახლავთ ბატონი ზურაბის საუნივერსიტეტო დიპლომატია, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული თხემით ტერფამდე. ამ საკითხის გადაჭრას ძნელად შეძლებ თავად უნივერსიტეტის სადღეისო კონტინგენტით, რადგანაც ისინი სათანადოდ ვერ ჩამოყალიბებულან სკოლის მერხიდან. დიახ, თუკი არ მოხდება მათი 12 წლამდე უმეცრებით განელილი სწავლის პროცესის შეკუმშვა, თუკი არ მოხდება სასწავლო დისციპლინების დეჰუმანიზაცია საბუნებისმეტყველო დარგების სასარგებლოდ და მათი მიზანმიმართული გაძღოლა ეროვნული თუ ზოგადკაცობრიული ფასეულობებისკენ, სასურველ შედეგს ვერაფრით მივაღწევთ. აი, სადამდე მიგვიყვანა უცებ ბატონი ზურაბის კონცეფციამ: **მან უმთავრეს სახსარ-საშუალებად საუნივერსიტეტო სივრცე დაასახელა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ბაგა-ბაღიდან მოყოლებული, საჯარო სკოლებით დამთავრებული, მოზარდების მიზანმიმართულ დაკვალიანება-განვრთნას.** ამ საკითხს მე დიდი ხანია ვუტრიალებ. სათანადო პროექტიც კი შევქმენი – **„ზენიჭიერი“,** რომელიც, კეთილი ნების შემთხვევაში, საჯარო სკოლის მეხუთე კლასიდან შეუდგება რესპუბლიკის მასშტაბით განსაკუთრებული უნარების ახალგაზრდა თაობის ერთი მეთვალყურეობის ქვეშ მოქცევას, მათი მიზანმიმართული განსწავლის შემდეგ კი ქვეყანა შეიძენს 200-250 ზენიჭიერ, სახელმწიფოებრივად მომზადებულ ახალგაზრდას.

ჩვენმა წინაპრებმა ეს ჩინებულად იცოდნენ, განსაკუთრებით ქურუმებმა, რომლებიც ახალგაზრდა წყვილებს მიზანმიმართული დაწყვილებისკენ აქეზებდნენ – 21 მარტს ჩასახული ბავშვი დაიბადება 21 დეკემბერს, რომელიც თავისი მონაცემებით განსაკუთრებულია დანარჩენი ტოლებისაგან. ეს საიდუმლო სვეტიცხოვლის ბარელიეფზეა ასახული. უნებურად მსგავსი მეცადინეობა გამოგვივიდა ბატონი ზურაბის წიგნის ანალიზით და ამ დროს ნაშრომის მეორე განყოფილებაზე – „სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცე“ – საუბრისთვის, ფაქტობრივად, ადგილი არც გვრჩება; თუმცა აქაც ჩემი წარმატებული ფესვის – **ზვიად ფეტელავას** გაცხადებული მომეშველება რამდენადმე:

„ბატონმა ზურაბმა პოლიტოლოგიის ისეთ მაღალ თამასას აზიარა მკითხველი, რომ აქ ჩვენი ძირძველი მიწების მიტაცების პერსპექტივებიც ცალსახადაა გადაჭრილი. პრიორიტეტად, დღემდე დამკვიდრებული ტურიზმის, მრეწველობის, ინდუსტრიალიზაციისგან განსხვავებით, ცოდნის – ჭეშმარიტი ფასეულობის დასახელება ფაქტობრივად ნიშნავს ნებისმიერი – აფხაზურ-ქართულია ეს, ოსურ-ქართული თუ სხვა – კონფლიქტის დღის წესრიგიდან მოხსნას: როცა მოლაპარაკების მაგიდასთან ჭეშმარიტი, კაცობრიული ცოდნით აღჭურვილი პიროვნებები დასხდებიან, მსგავსი პრობლემები თვალის დახამხამებაში დაიძრება ყინულივით მკვდარი წერტილიდან პოზიტიური ვითარებისკენ. იგივე სურათია უკრაინულ-რუსულ კონფლიქტთანაც. აქაც ცოდნის ორმხრივი დეფიციტი ანგრევს ქალაქებს, სოფლებს, სპობს ბუნებას და ცხოვრების უმაღლეს მონაპოვარს – ადამიანს. აქაც გრიბოედოვის «Горе от ума»-ა, მშვენივრად რომ ითარგმნა ქართულად – „ვაი ჭკუისგან“, ვგონებ წინამძღვრიშვილის თუ ერისთავის მიერ. ტელეფონზე საუბარი თუ გვინდა შედგეს, ეს ტელფონი ორივე მხარეს უნდა გააჩნდეს. პოლიტიკური კონსენსუსი დიდი კაცობრიული შენაძენია, მაგრამ ამას ტალეირანივით ელასტიკური დიპლომატები, მაღალი ინტელექტის ადამიანები სჭირდება. და ეს მახასიათებელი წინა პლანზე რომ წამოსწია ბატონმა ზურაბმა, ნებისმიერი საკითხის გადაჭრის რეალური სივრცე მოიხაზა კალმის ერთი მოსმით. მე, შემდგომში უფრო ღონივრად რომ მოვიკიდებ ფეხს ლონდონის უნივერსიტეტში, შევეცდები, ბატონი ზურაბის გასაოცარი წიგნი მეტი მსჯელობის საგნად ვაქციო, **როგორც თანამედროვე დიპლომატიის ქვაკუთხედი.** იგივე მინდა განვახორციელო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც მაგისტრის წოდება მიმიღია წლების წინათ. ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი აზროვნების გარეშე ვერ გაიხსნება ვერანაირი კვანძი, ნუ მივახტებით მაინცდამაინც მითოლოგიურ **გორდიას ნასკვს,** უფრო მარტივი აგებულების მაგალითს დავჯერდეთ, თუნდაც ნაწილისა და მთელის შეთავსებას, დიდი და პატარა ერების თანაქმედების დილემას. თქვა ამაზე **იმანუელ კანტმა** მოსწრებულად: **მრავალერთიანობაო** და ამ მრავალერთიანობის გარეშე დღევანდელ, მით უფრო, ხვალინდელ თუ ზეგინდელ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს მშვიდობიანი თანაარსებობა არ უწერია. მშვიდობაც ერთგვარი ხიდია ადამიანთა, საზოგადოებათა გულებს შორის. რუსთაველი ბრძანებს: **„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ-დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“**-ო. უკეთესი სამშვიდობო პარადიგმის დასახელება შეუძლებელია. ეს არის ქართული ხედვა, ქართული სულის ზოგადკაცობრიული ზეიმი, რომელიც წარუშლელადაა გამოკვეთილი ბატონი ზურაბის წიგნში და რომელიც მთელს ცივილიზაციას, წესით, ლოცმანივით უნდა მიუძღოდეს წინ პოლიტიკური აშლილობებით აბობოქრებული სოციალ-პოლიტიკურ პრობლემათა ოკეანის გადალახვისას“.

გური ოტობაია
მწერალი

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ №10

ენა – ულმობელი მსაჯული

ენათმეცნიერი
გიორგი გოგოლაშვილი
ესაუბრება კრიტიკოს
ლევან ბრეგაძეს

გ. გ. – ერთი ასეთი „უცნაური“ ფორმა მინდა გაგახსენო „ვეფხისტყაოსნიდან“: „ორნივე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ **იე**“ (ფატმანი წერილს სწერს ნესტან-დარეჯანს). **იე** კლასიკური მაგალითია ოკაზიონალური ფორმისა (სხვაგვარად „პოეტურ ლიცენციასაც“ რომ ეტყვიან). მისი გრამატიკული ანალიზი აბსურდამდე მიგვიყვანს... ამგვარ რაიმეს **„ენობრივ თავისუფლებასაც“** ეძახიან... მოდი, პრობლემა ამ კუთხით დავინახოთ: კლასიკოსი მწერლები არღვევენ ენობრივ ნორმებს და ამართლებენ თავიანთ ქმედებას; ამტკიცებენ, ასეაო სწორი (ვაჟა-ფშაველა, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია...)... მავანნი საუბრობენ „ენობრივ თავისუფლებაზე“... როგორ გესმის მწერლის „ენობრივი თავისუფლება“? რეალურია საერთოდ ასეთი ცნება (თავისმართლებაა)? რა განსაზღვრავს მის ფარგლებს?... „ნიჭიერება?“ თუ ეს ნიჭიერთათვის „გამოგონილი შეღავათია“?

ლ. ბ. – ვფიქრობ, ნიჭიერება განსაზღვრავს, ოღონდ „შეღავათის“ გარეშე! ენობრივი ექსცენტრიკის ნიმუშები სახალისო საკითხავს ხდის მხატვრულ ტექსტს. ოკაზიონიზმების შექმნისკენ მიდრეკილება თითქოს ხომ სპეციფიკური მწერლური ნიჭია, მაგრამ ფსიქოლოგებს შენიშნული აქვთ, რომ, ისინი, ვისაც სიტყვის თამაში ეხერხება, ბევრ სხვა სფეროშიც წარმატებულნი არიან. სიტყვათქმნადობისკენ მიდრეკილება ზოგადად ქმნადობისკენ მიდრეკილების ნიშანი უნდა იყოს.

გ. გ. – ლევან, ოციოდე წლის წინათ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ შენი წერილი დავბეჭდე: „ენა – ულმობელი მსაჯული“. ორიოდე ამონარიდს დავიმოწმებ: „ამ ბოლო დროს მასმედიის ენას ისეთი შეცდომები მოეძალა, წინათ რომ ძალზე იშვიათად ან სრულიად არ გვხვდებოდა“... **„ოცი-ოცდაათი წლის წინ ასეთი შეცდომები მხოლოდ უბირ, წიგნთან მეტისმეტად მწყრალად მყოფ ადამიანებს მოსდიოდათ...“**, რომ „მეტყველება საუკეთესოდ წარმოაჩენს ადამიანის განათლების დონეს, მის სულიერ ავლადიდებას“... და ბოლოს **იოანეს ბეხერს** დავიმოწმებ: **„ენა ულმობელი მსაჯულია, მის განაჩენს ვერ გაექცევით, თუკი მას უდიერად მოექცევით“**... კითხვა: **დღეს უკეთესი მდგომარეობაა?**

ლ. ბ. - ზემოთ რაც ითქვა, უმთავრესად მწერლობასა და მწერლებს ეხებოდა, მაგრამ ენა მარტო მწერლის იარაღი ხომ არ არის! ენა თითოეული ჩვენგანის იარაღია ცხოვრებაში თავის გატანის პროცესში, თვითდამკვიდრების გზაზე სიძნელეებთან ბრძოლისას. შემჩნეულია: **ვინც სწორად მეტყველებს, ის უფრო ხშირად აღწევს დასახულ მიზანს.** ენის მიმართ გამოჩენილი დაუდევრობისთვის, გნებავთ, ენის უპატივცემლობისთვის იმით ვისჯებით, რომ ჩვენი მცდელობები ნარუმატებლად მთავრდება, მიზნებს ვერ ვაღწევთ. ამას გულისხმობს ბეხერის ფრაზა.

მეკითხები, მასმედიის ენაში **დღეს** უკეთესობისკენ ხომ არ შეიცვალა ვითარებაო. **უარესობისკენ შეიცვალა.** კატასტროფული მდგომარეობაა! ბოლო რამდენიმე წელია ვაკვირდები ჩვენი მედიის ენას, ვაგროვებ ყველაზე გავრცელებულ შეცდომებს და მათ ბლოგებში ვაანალიზებ, რომლებსაც მერე „მედიაკრიტიკის“ ვებგვერდზე ვაქვეყნებ. **„მოაბილიზა“** გაგიგონია? გაგეგონება, ცხადია, წამდაუწუმ ისმის, მოდურ სიტყვად იქცა! ჰოდა, წარმოიდგენდი ასეთ რამეს?! უცხო სიტყვის „მო-ბილიზების“ ფუძისეული „მო“, ქართულ ზმნისწინ „მო“-სთან არის გაიგივებული! მართებული „მობილიზება მოხდინა“-ს ან „მობილიზება შეძლო“-ს ნაცვლად, „მოაგვარას“ და „მოახერხას“ ანალოგიით, წერენ და ამბობენ „მოაბილიზაო“, ხოლო აქედან აწარმოებენ ფორმას „აბილიზებს“! წარმოიდგენდი ამას! და რამდენი ასეთი! კატასტროფაა-მეთქი, გეუბნები!

გ. გ. – ახლახან „ფართომასშტაბიანი ბრძოლა“ გამოუცხადეს ბარბარიზმებს... ბარბარიზმი დღეს პრობლემაა? ხომ არ გაჭირდა ბარბარიზმსა და ნეოლოგიზმს შორის (საერთაშორისო სიტყვებს შორის) ზღვარის გავლება? (ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგი თითქოს ბარბარიზმად მხოლოდ რუსულიდან შემოსულ სიტყვებს მიიჩნევს)... რა შედეგს ელოდები ამ ბრძოლიდან?



ლ. ბ. - ჰო, ეგენი ერთმანეთისგან ყოველთვის მარტივი გასარჩევი არ არის. ჩვეულებრივ ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ: რად გვინდა უცხო სიტყვა, როცა გვაქვს მისი ქართული შესატყვისი. მაგრამ საქმე ის არის, რომ უცხო ენიდან შემოსული სიტყვა (ტერმინებზე ახლა ნურაფერს ვიტყვით – ეს ცალკე სალაპარაკოა) ზოგჯერ ისეთ ნიუანს იღებს „მასპინძელ“ ენაში, მერე მისი „გასტუმრება“ ვეღარ ხერხდება. ეს იმიტომ, რომ, როგორც ბესარიონ ჯორბენაძე წერს ერთგან, ენას მოეპოვება პოტენცია „რაციონალურად გამოიყენოს ყველა დასაშვები შესაძლებლობა მნიშვნელობათა თვით უმცირესი ნიუანსების გამოხატვის მიზნით, თან ისე, რომ ეს გამოხატვა თავიდან იცილებს ორაზროვნებას“.

მაგალითად, მოითხოვენ „ინსპირაციის“ ნაცვლად ვთქვათ „შთაგონება“. ამათი მონაცვლეობით ხმარება ნამდვილად სასურველია, მაგრამ ანგარიშგასანევია ის გარემოება, რომ „შთაგონება“ ყოველთვის არ არის „ინსპირაცია“ ანუ შემოქმედებითი აღფრთოვანება, სამოქმედოდ განწყობა – ზოგჯერ ის „სუგესტიაა“ – ჰიპნოზია.

ამრიგად, უცხო სიტყვა თავიდან გვაცილებს მშობლიური სიტყვის პოლისემიით გამოწვეულ უხერხულობას და ამით განიმტკიცებს პოზიციას.

ან კიდევ: „პროგრესი ხომ იგივეა, რაც „წინსვლა“, და სავსებით შესაძლებელია ფრაზაში: „ამ საქმეში დიდი ხანია პროგრესს ვერ ვხედავ“ – ის „წინსვლით“ ჩავანაცვლოთ, მაგრამ ზედსართავ „პროგრესულს“ რას მოუხერხებ, ვერაფრითაც ვერ ჩაანაცვლებ. „პროგრესული მოვლენის“ ნაცვლად „წინსვლურ მოვლენას“ ხომ ვერ იტყვი?

იქ კი, სადაც სემანტიკური დიფერენციაციის თვალსაზრისით „ზარალს“ არ ვნახულობთ, ენა ადვილად ემშვიდობება უცხო სიტყვას. მაგალითად, 50-60 წლის წინ ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო გერმანულიდან შემოსული კომპოზიტი „გროსმაისტერი“ და მისგან ნაწარმოები ზედსართავი „გროსმაისტერული“, რომლებიც წარმატებით ჩაანაცვლა „დიდოსტატმა“ და „დიდოსტატურმა“.

მართალს ბრძანებ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბარბარიზმებად მხოლოდ რუსული სიტყვების გამოყენებას მივიჩნევთ. ქართულ მეტყველებაში ინგლისურიდან შემოსული ბევრი სიტყვის (მაგალითად, „ლაითის“, „ლაივის“...) გამოყენება დროთა განმავლობაში ისეთივე უხერხული შეიქნება, როგორიც ერთ დროს გავრცელებული „სტოლისა“ და „პოლის“ ხმარება დღეს.

გ. გ. – XIX და XX საუკუნეებში რამდენიმე პოლემიკა (დისკუსია) გაიმართა ქართული ენის საკითხებზე: XIX საუკუნეში – 60-70-იან წლებში („მამათა“ და „შვილთა“), 90-იან წლებში და მერე (იაკობი და აკაკი „კვალის“ რაზმთან ერთად; აკაკი და ვაჟა...); XX საუკუნის დასაწყისში (გამსახურდია, ჯავახიშვილი და სხვა); 60-იან წლებში – „ენა ძველი, ენა ახალი“ (მწერლებსა და ენათმეცნიერებს შორის)... ყველა ამ დისკუსიამ თავისი საქმე გააკეთა. დედაენის სასიკეთოდ რა თემაზე ისურვებდი დისკუსიას და ვისთან (მახსოვს, ერთხელ თქვი, მიყვარსო პოლემიკა)?

ლ. ბ. – დიახ, მიყვარს. იმიტომ მიყვარს, რომ პოლემიკა ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს. ვისაც ჭეშმარიტება აინტერესებს, კამათში იმისი დამარცხება შეუძლებელია, ვინაიდან ამ ყაიდის ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჭეშმარიტებას თავისით მიაკვლევს თუ სხვა მიაგნებინებს მას – ჭეშმარიტებასთან მიახლოება ბედნიერების შეგრძნებას ბადებს და მთავარი ეს არის. მე მხოლოდ ამისთვის ვპოლემიკობ.

ვამჩნევ, ბოლო დროს გაჩნდა ტენდენცია, ენობრივი კალკები პირწმინდად უარყოფით მოვლენად მივიჩნიოთ. სიამოვნებით ვიკამათებდი მასთან, ვინც ასე ფიქრობს.

გ. გ. – ჟარგონი რომ უაღრესად საინტერესო სფეროა ენისა, შენზე კარგად ვინ იცის – „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ ავტორი ხარ; შენ ყურადღებას ამახვილებ იმაზე, რომ ქართულში სასკოლო ჟარგონი არაა განვითარებული (სამიოდე მაგალითს ასახელებ), გერმანულში ეს სფერო ძალიან მდიდარია; რამდენადაც ვიცი, ასეა ფრანგულშიც... თარგმნის დროს ეს სერიოზულ პრობლემას არ ქმნის? როგორ აღწევს (თუ აღწევს...) ამ სირთულეს თავს მთარგმნელი... ჟარგონისეული ნიუანსი არ იკარგება? ქართული ენის რა შესაძლებლობით ხდება ამის კომპენსირება?

ლ. ბ. – თარგმანში ბევრი რამ იკარგება, პროზის თარგმანშიც კი, პოეზიაზე რომ არაფერი ითქვას. საზოგადოდ, ზოგი რამ, რაც თეორიულად შესაძლებელია, პრაქტიკულად ვერ ხორციელდება (ჯერ-ჯერობით მაინც!). თარგმანში კი, რაც უნდა უცნაური ჩანდეს, ეს პირიქითაა: თარგმნა **თეორიულად** შეუძლებელია, მაგრამ **პრაქტიკულად** ხერხდება. ეს პარადოქსი იმით აიხსნება, რომ რაიმე საგანსა თუ მოვლენაზე მართებული აზრის შესაქმნელად არ არის სავალდებულო მათი აბსოლუტური სიზუსტით ასახვა. რაღაც შტრიხები რომც დააკლოს, ვთქვათ, პიროვნების გამოსახულებას მხატვარმა (და ისე როგორ იქნება, რომ არ დააკლოს!), მაინც ვცნობთ, ვისი პორტრეტია (ზოგჯერ სულ რამდენიმე შტრიხით თუ მონასმით ახერხებს ამას ხელოვანი). ამის მსგავსი რამ ხდება თარგმანშიც. თარგმანი, ძალიან კარგიც კი, ის არ არის, რაც დედანია, მაგრამ სწორ წარმოდგენას გვიქმნის დედანზე (თომას მანს აქვს ნათქვამი: იმ რომანს რა ვუთხარი, ცუდ თარგმანშიც რომ ინტერესით არ იკითხებაო). ოსტატი მთარგმნელი დანაკარგის კომპენსაციას სხვადასხვა საშუალებით ახდენს. მაგალითად, თუ ორიგინალში ისეთი ჟარგონული სიტყვა ან გამოთქმა შეხვდა, რომლის შესატყვისი მიმღებ ენაში არ მოიპოვება, მთარგმნელი სხვა ადგილას გამოიყენებს ჟარგონს, ისეთ ადგილას, სადაც დედანში სტილისტურად ნეიტრალური გამოთქმაა და აანაზღაურებს დანაკარგს. უმეტეს შემთხვევაში ამით დიდი არაფერი შავდება – ზოგადი შთაბეჭდილება შენარჩუნებულია. იმგვარი კაზუსები, როცა დანაკარგის კომპენსაცია შეუძლებელია, ბევრი არ არის.

თამაზ კვაჭანტირაძე (ისააკ बाबელის თარგმნისას), დალი ფანჯიკიძე (ულრიხ პლენცდორფის თარგმნისას), გია ჭუმბურიძე (ჯერომ სელინჯერის თარგმნისას) დიდი წარმატებით ახერხებენ დედნის ჟარგონული ფრაზებისთვის ქართული შესატყვისების მისადაგებას.

გ. გ. – ცოტა გავიღიმოთ: ჩემი ასპირანტი ჟარგონს იკვლევდა და ქუთაისელ რესპონდენტს სთხოვა, განემარტა „ჩალიჩი“. შენს ლექსიკონში „ჩალიჩობს“ ასეა განმარტებული: „ცდილობს რისამე გაკეთებას – ვაინაჩრობს, ცოდვილობს“... ვრცლად მსჯელობ „პონტზე“ (ტყუილი, ბლეფი; ამბავი...). **ჩალიჩი** ქუთაისელმა ყმაწვილმა ასე განმარტა: **„უპონტო პონტის პონტად ქცევას ჩალიჩი ჰქვია“**. რას იტყვი ამ განმარტებაზე? სწორია რესპონდენტისეული გაგება ამ სიტყვებისა? თუ „გადმოითარგმნება“ ეს განმარტება: „უპონტო პონტის პონტად ქცევა“? (თენგიზ ჩანტლაძის სკეტჩი მახსენდება...).

ლ. ბ. – კი, თარგმნა შეიძლება, ოღონდ „პონტის“ ყველა მნიშვნელობა უნდა მოვიშველიოთ – ეს ხომ პოლისემანტიკური ჟარგონული სიტყვაა! დიახ, ტყუილის, ბლეფის გარდა პონტი ქართულ ჟარგონში „ამბავსაც“ ნიშნავს, ხოლო ზოგჯერ „შეუძლებელსაც“ (მაგალითად, ამ ფრაზაში: „პონტია ის ამაზე დაგვთანხმდეს!“). ჰოდა, „უპონტო პონტის პონტად ქცევა“ ასე ითარგმნება: „შეუძლებელი ამბის შესაძლებლად ქცევა“. და, მართლაც, ჟარგონული სიტყვა „ჩალიჩი“ შესაძლოა განიმარტოს როგორც „შეუძლებელი ამბის შესაძლებლად ქცევის მცდელობა“. რატომაც არა! მომწონს!

გ. გ. – ლევან, ახლახან პრემია „საბა“ მიიღო ახალგაზრდა ქალბატონის, რომანმა: იყო ძალიან საინტერესო დადებითი შეფასებებიც, მაგრამ სერიოზული აუიოტაჟი ატყდა რომანში ზღვარსგადასული ბილწსიტყვაობის გამო... და ეს არ არის პირველი შემთხვევა სკაბრეზული ლექსიკის გამოყენების გამო ატეხილი ხმაურისა... რასთან გვაქვს საქმე?

ლ. ბ. – მომავალი საუკუნეების მკვლევრებს არ გაუჭირდებათ თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების დათარიღება, მაშინაც კი, გამოცემის წელი მითითებული რომ არ იყოს წიგნზე: სავსეა ტექსტი ბილწსიტყვაობით? ესე იგი, მე-20 საუკუნის 90-იან წლებზე ადრინდელი ვერ იქნება! ოდესღაც დავწერე კიდეც, ჩვენს მწერლებს თურმე იმისთვის უნდოდათ თავისუფლება, რომ გენიტალიების ხსენებით ეჯერებინათ-მეთქი გული თავიათ ნაწერებში!

როგორც ეს ხშირად ხდება, აქაც **განათლებისა და სწორი აზროვნების დეფიციტთან გვაქვს საქმე**, კერძოდ, **სიტყვის ტაბუსა და ევფემიზმის არსის გაუგებრობასთან.** ეს უაღრესად საინტერესო მოვლენები (ტაბუ და ევფემიზმი) საქმეში ჩაუხედავ ხალხს ჩამორჩენილობა ჰგონია და ამის გამო ზედმეტად მიაჩნია ისინი. ახლა ბევრს არაფერს ვიტყვი ამის გამო და მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიყვან გამოჩენილი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის **კარლ გუსტავ იუნგის** წიგნიდან „ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც სხვა დროსაც დამიმოწმებია. ეს ფრაგმენტი საკმარისი უნდა იყოს ტაბუსა და ევფემიზმის დანიშნულების გასაგებად:

„მე ჩემს თავს ვერასოდეს ვაიძულებდი, სექსუალური სფეროსთვის ამდენი ინტერესი დამეთმო (...). ეს ნევროტიკული სისულელეა, ნორმალური, ჭკუადამჯდარი ხალხი ამაზე დიდხანს არ საუბრობს ხოლმე, ასეთი რაღაცების შესახებ დიდხანს მსჯელობა ბუნებრივი არაა. პრიმიტივები (იგულისხმება ე. წ. არაცივილიზებული ტომის წევრები. – ლ. ბ.) ამ მხრივ ძალიან თავშეკავებულნი არიან. ისინი სქესობრივ ურთიერთობაზე ისეთი სიტყვით მიუთითებენ, რომელიც იმასვე ნიშნავს, რასაც „ჩუ“. სექსუალური ამბები მათთვის ტაბუა და ასევეა ჩვენშიც, როცა ბუნებრივად ვიქცევით“ (ირინა ჯიოევის თარგმანი).

და კიდევ: ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სიტყვის ტაბუ და პოლიტიკური ტაბუ. პოლიტიკური ტაბუ დიახაც დასარღვევია, ვინაიდან ის უმეტესწილად ადამიანთა ჩაგვრას ემსახურება, რითაც მჩაგვრელთა ინტერესებს იცავს. **სიტყვის ტაბუ კი ადამიანში ადამიანურობის დაცვისთვისაა მოწოდებული,** კერძოდ, ტაბუ გენიტალიებზე და სექსუალურ პროცესებზე ამ პროცესებს გაუფასურებისაგან იცავს და **ამით ის იცავს სიყვარულს...**

ანალოგია უცხოურ ლიტერატურასთან არ გამოდგება (თუმცა იქაც კი გასული საუკუნის 70-იან წლებს ვერ ჩავცდებით), ვინაიდან უმთავრეს ევროპულ ენებში გენიტალიებისა და სექსუალური ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები (ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით) უხსოვარ დროშია ტაბუირებული, დღეს მათი ნამდვილი სახელები დავიწყებულია და ისინი „ფსევდონიმებით“ იხსენიებიან, – სიტყვებით, რომლებიც სხვა, ყოფითი, შინაარსის გამოსახატავადაც გამოიყენება და, ამდენად, ყურსაც არ გვჭრის. ეს კი, დამეთანხმები, სულ სხვა რამ არის!..

▶▶ დასასრული იქნება

ქალბატონი ქალაუფლების სურნელით

რეზო კლდიაშვილი

სცენა მიმდინარეობს მწერლის სამუშაო ოთახში. მოლბერტზე გვირგვინოსანი ქალის დაუმთავრებელი პორტრეტია. კედელზე ქართული ანბანისა და ძველი ქვევრის პლაკატებია გაკრული. თაროზე წიგნებია. შემოდის მწერალი, ჩანთიდან ლეპტოპს ამოიღებს, დასატენად რთავს. მობილური ტელეფონი რეკავს. პასუხობს.

მწერალი – ეს წუთია ჩამოვედი. ჰო, ბიზანტიის დედოფალ მართა-მარიამსა და მის ვაუ კონსტანტინე დუკას ბაგრატის ტაძარში პარაკლისი გადავუხადე. არ ვხუმრობ! წლეებია ამას ვაკეთებ. მასთან კოსმიური მეგობრობა მაკავშირებს: ვუყვარვარ XI საუკუნის ბიზანტიის ქართველ დედოფალს. გამოიარე, ჩვენები მარიამჯვარში არიან. ჰო, მადამი ეჭვიანობს, გაბრაზებულია. პიესის დასაწყისის პირველი ვარიანტი მოსწონდა. მანჰეტენზე რომ ვესტუმრე, რაღაც ხელოვნურად მომეჩვენა, წავშალე და ეწყინა. გაუვლის (წყალს სვამს). ჰო, ასაკი, იცოცხლე, არ აკლია, 106 წელი იცხოვრა. არა, არა უშავს, 50 წლამდე ასაკის ქალი თუ ითამაშებს მადამ ჩან კაიშის. ჩემი პროტოტიპიც შეიძლება ახალგაზრდა იყოს. ამ ამბავს მოევლება! ვემზადები, რომ ჩაეუჯდე, მაგრამ თავში მთელი „რა ამბავია“ მაქვს, საკონფერენციო მოხსენებაც მოსამზადებელია. ალბათ, ეს პანდემია შემაძლებინებს. შენც ფრთხილად იყავი, ხომ გაგიგონია: სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. აბა, კარგად!

მწერალი ლეპტოპს ჩაშტერებია. გრძნობს, ოთახში ვილაც მოძრაობს. ელიმება. ქალი უახლოვდება მაგიდას, რომელზეც მოზრდილი წიგნი დევს. შლის, ათვალიერებს. მწერალი ლეპტოპს გვერდით გასწევს, დგება და ქალს უახლოვდება.

მწერალი – ქართველები განსაკუთრებულ თაყვანს ვცემთ რუსთველსა და მის გენიალურ პოემა „ვეფხისტყაოსანს“. რუსთველი თამარ მეფეს ეტრფოდა და მისი სილამაზითა და სიბრძნით მთაგონებულმა შეექმნა უკვდავი პოემა. იცით, რუსთველი ჯერ კიდევ XII საუკუნეში იცნობდა შორეულ აღმოსავლეთს. პოემაში ალეგორიულად არის ნარმოდგენილი ინდოეთი, არაბეთი და ხატაეთი. პოემის გმირი რამაზ ხანი, ხატაეთის მმართველი, სხვათა შორის, თქვენებურია, ჩინელი.

მადამ ჩან კაიში – საინტერესოა!

მწერალი – პოემაში ინდოეთის ძლიერი მეფის ასული, ნესტან-დარეჯანი, ავალებს თავის სატრფოს, ტარიელს: წადი, ხატაელებს შეები, ილაშქრე. ღმერთმა ქნას, გაიმარჯვო და ძლევამოსილი დამიბრუნდეო. ტარიელი ლაშქრით მიდის ხატაეთს საბრძოლველად, დაამარცხებს რამაზ მეფეს და დიდი ალაფითა და განძით ბრუნდება ინდოეთს. ინდოეთის მეფე პატივით იღებს დატყვევებულ რამაზს, ისე გაისტუმრებს „როგორც სააკვნე შვილს“, შეუნდობს ხატაელს წინანდელ მტრობას. ხატაელმა რამაზ ხანშა დაუმადლა და წელში მოიხარა, მდაბლად თაყვანი სცა. ინდოეთის მეფემ რამაზი და მისი დიდებულები შემოსა და ისე გაისტუმრა.

მწერალი უახლოვდება წიგნების თაროს, იღებს ჩინურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“ და უნვდის მადამ ჩან კაიშის. ისიც დახედავს და გაოცებული, მოწიწებით გადაფურცლავს.

მწერალი – ეს არის ჩინურ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც პეკინში ყოფნისას შევიძინე. მინდა გადავცე საქართველოში დაარსებულ კონფუციის ცენტრს. დღეს ჩვენში დიდი ინტერესია ჩინეთის მიმართ. ახალგაზრდობა დიდი გატაცებით სწავლობს ჩინურ ენას.

მადამ ჩან კაიში (ჩინურად წარმოთქვამს) – „ვეფხისტყაოსანი“!

მწერალი – ერთ ლეგენდაზე მინდა გიამბოთ: შუა საუკუნეებში ყველა დიდ საგვარეულოს საკუთარი ლეგენდა ჰქონდა თავისი წარმომავლობის შესახებ. უმრავლეს შემთხვევაში, ამ ლეგენდებში საგვარეულოს ფუძემდებლები უცხო ქვეყნებიდან იყვნენ მოსულები. რაც უფრო შორეულია ქვეყანა, ლეგენდა მით უფრო იდუმალებითაა სავსე. აი, სწორედ ასეთი არსებობს ბარათაშვილების საგვარეულოს შესახებ. ლეგენდის მიხედვით, მათი წინაპრები ქაჩიბაძეები ყოფილან, რომლებიც ჩინეთიდან ქართლში ჩამოსახლებულან. ამ ქაჩიბაძის შვილებიდან უფროსს ბარათა ერქვა. ძმები რომ გაიყვნენ, უფროსი შვილის სახელმა „ბარათა“ საფუძველი ჩაუყარა ბარათაშვილთა საგვარეულოს ქვემო ქართლში. საინტერესოა, მათი წინაპრები როგორ მოხვდნენ ჩინეთში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. მოკლედ კი გეტყვით: XII საუკუნეში ტახტზე ავიდა თამარ მეფე. ეს ტახტი კანონით მის ბიძაშვილს, მცირეწლოვან დემნას ეკუთვნოდა. თამარის მამამ, გიორგი III-მ, მამამისის, დემეტრეს ხელშეწყობით, მართლაც, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ტახტზე თამარი დაესვათ და დასვეს კიდეც. ამ დროს დემნას მამა, დავითი, მოულოდნელად გარდაიცვალა (შეიძლება მოკლეს კიდეც). დემნა გახდა ძლიერი ფეოდალის, ივანე ორბელის სიძე და ორბელებმა ტახტის დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყეს. მეფე გიორგი III-მ დაუნდობლად დახოცა თავისი მტრები. მოკლეს თავად ივანე ორბელი და მისი თანამზრახველები, ივანე ორბელის ორი ძმა კი გაიქცა. ქაჩიბა მათი ზედმეტსახელია. XV საუკუნეში, ანუ სამი საუკუნის შემდეგ, საქართველოში, ქვემო ქართლში, გამოჩნდნენ გაქცეულების შთამომავლები. ასეთია ლეგენდა ბარათაშვილების გვარის შესახებ.

მადამ ჩან კაიში – ლეგენდის მიხედვით, საქართველოდან რომ აღმოვჩნდე?

მწერალი – ნუ გეღიმებათ. ცხონებული ბებიაჩემი ელიჩკა, ცოცხალი რომ იყოს, აუცილებლად თქვენს იმერულ წარმოშობას დაადგენდა და ამას ისე კარგად შეფუთავდა, რომ თქვენც კმაყოფილი დარჩებოდით. იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი რეგიონია, ერთ დროს სატახტო ქალაქ ქუთაისით, რომელიც ჩემი მშობლიური ქალაქია. იგი ქრისტეს შობამდე 1400 წლით ადრე დაარსდა და მსოფლიოს უძველესი ქალაქების ხუთეულშია, რომლებიც დაარსებიდან დღემდე განაგრძობენ არსებობასა და სიცოცხლეს. ეს ქალაქი კოლხეთის ცივილიზაციიდან არის ცნობილი. სწორედ კოლხეთში მოვიდნენ ბერძენი არგონავტები იასონის მეთაურობით და მეფე აიეტს მოჰპარეს ოქროს საწმისი ქალიშვილის, მედეას დიდი ხელშეწყობით!

მწერალი წითელ ღვინოს გადმოიღებს, ხსნის და ორ ბოკალს დებს მაგიდაზე.

მწერალი – თქვენ ჩაის ქვეყნიდან ხართ და თქვენი წყალობით, ეს კულტურა ჩვენშიც შემოვიდა. ასევე, ბევრი რამ მიეცით კაცობრიობას (მარტო ქაღალდი რად ღირს!). მინდა იცოდეთ, რომ თქვენ ვაზის ქვეყანაში ხართ. ახლა დავგუგლავ. ყურძნის ერთ-ერთ ჯიშს „ჩინურიც“ კი ჰქვია (**ეკრანზე ჩინური ჯიშის ყურძენი ჩნდება და ვაზზე მუსიკაც ეღერდება**). „ხვანჭკარას“ გთავაზობთ, ისიამოვნებთ.

მადამ ჩან კაიში (ღვინოს მოსვამს) – შესანიშნავი! ამერიკის უნივერსიტეტში ბერძნულ მითებს ვსწავლობდით და მედეას ვიცნობ. რას წარმოვიდგენდი, მედეას ქვეყანაში ჩემით თუ დაინტერესდებოდნენ. მახსოვს, ერთმა მოწვეულმა ბერძენმა პროფესორმა ლექციაზე მედეას შესახებ თქვა: დღესაც კი საბერძნეთში ჭირვეულ ბავშვებს ძილის წინ მედეათი აშინებენო.

მწერალი – სადღაც წავიკითხე, არგონავტების სტუმრობა ყველაზე უსინდისო სტუმრობაა მსოფლიოს ისტორიაშიო. ჩემმა მეგობარმა იცის თქმა და ასრულებს კიდეც: ყველას შემოშვება არ შეიძლება ოჯახშიო. ვეთანხმები, თუმცა ბერნარდ შოუს გამონათქვამი მიმწონს: „პატიოსნება და ერთგულება – ეს ძვირადღირებული საჩუქარია, რომელსაც იაფფასიანი ადამიანებისაგან ნუ ელოდები“. როგორ გგონიათ, რა არის ბედი?

მადამ ჩან კაიში (მოლბერტს უახლოვდება) – ხასიათი, ხასიათი ქმნის ბედს. ძალიან მომწონს ბიზანტიის დედოფლის პორტრეტი!

მწერალი – არ დამიმთავრებია. ასე უფრო მომწონს XI საუკუნის ბიზანტიის ქართველი დედოფალი. პიესა დავწერე წლების წინ... დღემდე ვმეგობრობთ.

მადამ ჩან კაიში – ისტორიკოსების საქმე არ არის დროში ჩაკარგული ცხოვრების სურნელის გაცოცხლება. აი, ფაქტების გაცოცხლება, სულის შთაბერვა კი შემოქმედის საქმეა.

მწერალი – ზუსტად მაგ საქმითა ვარ დაკავებული. აი, ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი მართა-მარიამ დედოფალმა დასვა ბიზანტიის ტახტზე იმ პირობით, რომ მის ვაჟს, კონსტანტინეს, თანაიმპერატორად გაიხდიდა, როგორც ხდება ხოლმე. უღალატეს კომნენოსებმა, პირობა დაარღვიეს. არ გაგიკვირდებათ, ალბათ, თქვენც ხომ ბევრი გაუკეთეთ გენერალ ჩან კაიშის, თუმცა...

მადამ ჩან კაიში – კომნენოსების დროს ჩინეთს, თუ არ ვცდები, სუნგის დინასტია მართავდა.

მწერალი - მართა-მარიამის სილამაზეზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ქრისტიანები ვართ, ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს საქართველოში I საუკუნეში, სახელმწიფო რელიგიად კი მირიან მეფისა და დედოფალ ნანას დროს გამოცხადდა, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასაწყისში, წმინდა ნინოს ქადაგებით. თბილისი მისი დაარსების დღიდან ღია ქალაქია დღემდე. ყველა ეროვნებისა და რწმენის ადამიანები – სომხები, მაჰმადიანები, კათოლიკეები, ბერძნები, ქურთები – აქ თავს საკუთარ სახლში გრძნობენ. მარტო ის რად ღირს – 26 საუკუნე ქართველებისა და ებრაელების თანაცხოვრებისა!

მადამ ჩან კაიში – როგორი გატაცებით საუბრობთ ბიზანტიის დედოფალზე!

მწერალი – ასე ვარ თქვენ მიმართაც: გატაცებით ვყვები ოჯახში, მეგობრებთან და ყველაფერი მაინტერესებს თქვენ შესახებ. ბიზანტიის დედოფალზე საბერძნეთში ვწერდი, ზღვაზე, ჰალკიკიდის ნახევარკუნძულზე და ისე ვიყავი გატაცებული, ოჯახი მგონი „ეჭვიანობდა“.

მადამ ჩან კაიში – ჩემზე არ ეჭვიანობენ?!

მწერალი – როგორ არა. ცხოვრება თეატრია. რა მაგის პასუხია და, სულ მინდოდა მეკითხა, თქვენი რელიგია?

მადამ ჩან კაიში – მამა მისიონერი-მეთოდისტი იყო. მეთოდიზმი ინგლისური პროტესტანტიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, ანგლიკანური სექტა, რომელიც ძმები უესლების მიერ დაარსდა ოქსფორდის უნივერსიტეტში 1729 წელს. მიზანი ბიბლიის მეთოდურად შესწავლა იყო.

მწერალი – მამათქვენი, როგორც ვიცი, ჩინეთში ბიბლიას გამოსცემდა და ავრცელებდა.

მადამ ჩან კაიში – საინტერესოა თქვენთან „თამაში“. აქ, კავკასიაში, ჩემზე ბევრს ფიქრობთ. პიესაც კი გინდათ დაწეროთ, მაგრამ ბიზანტიის დედოფლის პორტრეტის ხატვამ გაგიტაცათ, არა?!

მწერალი – რაც შეეხება თქვენთან „თამაშს“, ჩემი მიზნები მაქვს. თქვენ ხომ ძალიან საინტერესო ქალბატონი ბრძანდებით. ქალაუფლების სურნელით საინტერესო შრომა წავიკითხე თქვენზე, ბოლო: ისე, რომ ჩემი სამეცნიერო მიღწევები დავმთავრე ჩინეთში და თქვენი მშობლიური შანხაიც მოვინახულე. მავიწყდებოდა: სტალინი, თქვენ რომ ძალიან „გიყვართ“, წარმოშობით ქართველი იყო!

მადამ ჩან კაიში – მძულს და გთხოვთ...

მწერალი – არ მიკვირს. თუმცა, არც სტალინს ეყვარებოდით. ვფიქრობ, გენერალ ჩან კაიშის და თქვენი ყოველი ნაბიჯი ეცოდინებოდა.

მადამ ჩან კაიში – არ მაინტერესებს!

მწერალი – სტალინს აინტერესებდით. მის როლს კაცობრიობის ისტორია გვერდს ვერ აუვლის. ჩერჩილი ეკლესიებში ლოცულობდა, რომ სტალინს ომის დროს არაფერი მოსვლოდა!

მადამ ჩან კაიში – გესმით, რა არის სიძულვილი?!

მწერალი – მაო ძედუნსა და მის მომხრეებს მხარს უჭერდა. თქვენი მეუღლე, გენერალი ჩან კაიში და თქვენ კი ორ მილიონ თანამოაზრე ნაციონალისტთან ერთად ტაივანში აღმოჩნდით. არ მიკვირს, რომ გძულთ!

მადამ ჩან კაიში – გენერალი ჩან კაიში შეეგუა, რომ ჩიწეთს ვეღარ გააერთიანებდა და ტაივანის აღორძინებას შეუდგა. ავაღორძინეთ კიდეც!

მწერალი – გენერალი იძულებული გახდა, შეგუებოდა დამარცხებას. ცნობილია, რომ თქვენი ძალისხმევით და უბადლო დიპლომატიით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მატერიკულ ჩინეთს ლეგიტიმურად სწორედ თქვენი ტაივანში გახიზნული მთავრობა წარმოადგენდა!

მადამ ჩან კაიში – კუნძულ ტაივანზე შევქმენით სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო, ეკონომიკურად ძლიერი, რომელიც ოცი წლის შემდეგ აღიარა გაერომ!

მწერალი – არც ჩინეთს ეძინა და 1972 წელს გაერომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აღიარა თავის სრულუფლებიან წევრად. თქვენთვის 1949 წელი ყოველმხრივ მძიმე აღმოჩნდა.

მადამ ჩან კაიში – მებრძვით, მახსენებთ უსიამოვნო წლებს!

მწერალი – არ გებრძვით, მინდა თქვენზე პიესა დავწერო. ჩემი მიზანი მაქვს!

მადამ ჩან კაიში – არ იყო საჭირო, მე აგერჩიეთ. რატომ მაიცდამაინც მადამ ჩან კაიში?!

მწერალი – არ ვიცი. შეიძლება იმანაც განაპირობა, რომ იმ ქვეყნიდან ვარ, რომელსაც ძლიერი ქალები ჰყავდა – მედეა, ბიზანტიის დედოფალი მართა-მარიამ ბაგრატიონი, თამარ მეფე, გურჯი ხათუნი, ქეთევან დედოფალი...

მადამ ჩან კაიში – მიზანი განაპირობებს ქცევას!

მწერალი – რასაკვირველია, მიზანი განაპირობებს ქცევას. ჩემმა პატარა ქვეყანამ მცირე მოსახლეობით, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავი ვერ დააღწია გაჭირვებას, ომებს. ისეთმა დიდმა ქვეყანამ, როგორიც რუსეთია, ჩვენი ტერიტორიის ოცი პროცენტი მიიტაცა საუკეთესო მიწებით. ომმა საჯიშე ბიჭები შეინირა. 100-ზე მეტი სოფელი დაიკარგა, 300 ათასი ქართველი ლტოლვილად იქცა. ღალატმა და კორუფციამ პატარა ქვეყნები კი არა, იმპერიები დაანგრია და მიწასთან გაასწორა. ლოგიკურია, ვიმსახურებდით იმ მთავრობას, რომელიც გვყავდა და უფრო უარესი გვეყოლება, თუ ხალხი ფხიზლად არ იქნება. დენ სიაოპინგი, რომელიც ჩვენთანაც ძალიან პოპულარულია, ზრუნავდა, თავისი ქვეყანა როგორმე გაჭირვების ჭაობიდან ამოეყვანა, თუმცა არც მისი ბედი იყო ია-ვარდით მოფენილი.

მადამ ჩან კაიში – დენ სიაოპინგი, მაო ძედუნი, გნებავთ, მათზე დითირამბები ვისმინო?

მწერალი – ამ რამდენიმე თვის წინ გამიბრაზდით და დღეს გამოჩნდით. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რომ დენ სიაოპინგი იყო რეფორმების იდეოლოგი. მისი გამოთქმა მომწონს: „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“. იარსებებდა ერთი ჩინეთი, მაგრამ ისეთ ტერიტორიებს, როგორებიცაა ჰონგ-კონგი, მაკაო და ტაივანი, შეეძლო, ჰქონოდა საკუთარი კაპიტალისტური ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები, იმ დროს, როდესაც კონტინენტურ ჩინეთში სოციალისტური წყობა დარჩებოდა.

იგეძღვნა შემოკლებით

მადამ ჩან კაიში – ჰა, ჰა, ჰა! მაგრამ არ ჰქონდათ უფლება, სამხედრო და საგარეო საქმეები ეწარმოებინათ, არა?

მწერალი – სამაგიეროდ, ამ სამ სუბიექტს უფლება ჰქონდა ჩინეთის შემადგენლობაში ურთიერთსაზარგაბლო სტაბილური განვითარებისა, სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციისა, ჰქონდა თავისი ვალუტა!

მადამ ჩან კაიში – ამერიკიდან თვალ-ყურს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის განვითარებას. მარგარეტ თეტჩერი დარწმუნებული იყო, რომ ჰონ-კონგში მდგომარეობა აირეოდა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გაუარესდებოდა!

მწერალი – არ დადასტურდა თეტჩერის პესიმიზმი, პირიქით, „პროგრესირებს ჰონგ-კონგი 1997 წლის შემდეგო", – აღნიშნავდა ერთ-ერთ ინტერვიუში. მე სიტყვებს ალალბედზე არ ვისვრი. პიესაში მოყვანილი ფაქტები ეყრდნობა სამეცნიერო სტატიებს, ინტერვიუებს, საარქივო მასალას. ასე რომ, საფუძვლიანად ვემზადები მის დასაწერად!

მადამ ჩან კაიში – გინდათ, მესმოდეს ჩინელი რეფორმატორების პრაგმატიზმი და რაციონალიზმი?!

მწერალი – დავამატებდი – თანმიმდევრულობა!

მადამ ჩან კაიში – ყავა!

მწერალი – ყავა ჩაის ქვეყნიდან?!

მადამ ჩან კაიში – ერთადერთი, რაც აზიური მაქვს, ეს სახეა...

მწერალი – ჩემი საყვარელი მწერალი ჰემინგუეი თქვენ „ჩინელ იმპერატორად" მოგიხსენიებდათ, განსხვავებით მათგან, ვინც მსოფლიოში „ჩინური ურჩხულის ქალბატონად" განათლავდათ!

მადამ ჩან კაიში – ამ შესანიშნავი სასმისის შემდეგ ჰემინგუეის სიტყვები რომ გაიხსენე, მესიამოვნა. პირადად ვიცნობდი, მართლა „ჩინელ იმპერატორს" მიწოდებდა. აი, რაც შეეხება „ურჩხულს", გადამეტებულია. მიყვარდა ჩემი ქვეყანა და ყველაფერს ვაკეთებდი მისი წინსვლისთვის, რათა ჩინეთი ყოფილიყო დემოკრატიული ქვეყანა. შეგახსენებ, „თანამედროვე ჟანა დარკიც" გამიგონია და წამიკითხავს. თუმცა, არასოდეს ვაქცევდი ყურადღებას ამ შედარებებს!

მწერალი – შეგახსენებთ, თქვენი მეგობრის, ამერიკის პირველი ლედის, ელეონორა რუზველტის სიტყვებს: „იგი მშვენივრად საუბრობს დემოკრატიაზე და სულაც არ იცის, როგორ იცხოვროს მასში". ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ჩემი ქვეყნის პოლიტიკოსებისთვისაც.

მადამ ჩან კაიში – პრეზიდენტმა რუზველტმა და ამერიკის პირველმა ლედიმ თეთრ სახლში მიმინვიეს!

მწერალი – პომპეზურობის მოყვარულად გიცნობენ. ამბობენ, თეთრ სახლში დამხმარე პერსონალს ისე ექცეოდით, სტუმარს რომ არ შეეფერებოდა და ბრძანებებს გასცემდით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თეთრი სახლის ბინადრებს. ეს ამბავი იქით იყოს. თქვენს პომპეზურ ქორწილზე გენერალ ჩან კაიშისთან ზღაპრებს ყვებიან. ქრისტიანულ სახლში მოკრძალებული ჯვრისნერა, რომელიც გრანდიოზული ნვეულებით დასრულდა სასტუმრო „მაჯისტიკში". მას ესწრებოდნენ ჩინეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ელიტის წარმომადგენლები, დაახლოებით, 1000 კაცი მიიწვიეთ – ამერიკის ფლოტის მეთაურიც კი.

მადამ ჩან კაიში – სიამოვნებით ვიხსენებ.

მწერალი – სხვათა შორის, მეც სიამოვნებით ვიხსენებ ჩემს ქორწილს, ისეთი დღეა. მაგრამ გენერლისთვის ეს მეორე ქორწინება იყო, თანაც, უკვე ორი ვაჟი ჰყავდა – ერთი თავისი და მეორე აყვანილი, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია.

მადამ ჩან კაიში – საჭიროების შემთხვევაში, მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამართლებულია!

მწერალი – არ მიკვირს, ჩემს ქვეყანაში ასე რომ ფიქრობენ პოლიტიკოსები, რასაც, სამწუხაროდ, ჩემი ქვეყნისთვის ბედნიერება არ მოუტანია. გენერალმა ჩან კაიშმ ცოლ-შვილი ამერიკაში რომ გახიზნა, ეს იდეა, როგორც ჩანს, თქვენი მინოდებული იყო.

მადამ ჩან კაიში – ამ პერიოდიდან იწყება გენერალ ჩან კაიშისა და მადამ ჩან კაიშის მმართველობის ხანა!

მწერალი – 1927 წლიდან იწყება სუნ მელინის, რომელიც თქვენი ქალიშვილობის სახელია, მადამ ჩან კაიშად გარდაქმნა. დღეს თქვენ უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიით ისტორიის კუთვნილება გახდით. და, აი, სადღაც, კავკასიაში, ვიღაც დაინტერესდა თქვენი პიროვნებით.

მადამ ჩან კაიში – ცდები, ძვირფასო, მთელი ჩემი ცხოვრება თავდაუზოგავად ვძერწავდი ჩინეთისა და დასავლეთის ურთიერთობებს!

მწერალი – ზრუნვა ჩინეთზე თუ თქვენი პერსონის წარმოჩენა ამ თამაშში?

მადამ ჩან კაიში – გიმეორებთ: მიზანი განაპირობებს ქცევას!

მწერალი – გეთანხმებით. ჩინური ანდაზა გვასწავლის: **„თუ გინდა, რომ იდგე, უნდა ირბინო!"**

მადამ ჩან კაიში – ჩემმა გამოჩენამ ნიუ-იორკში მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრება არ გააცოცხლა!

მწერალი – იმასაც წერენ, ცინიკურ და ბინძურ პოლიტიკურ სამყაროში მადამ ჩან კაიშიმ შეიტანა რომანტიზმი და ინტრიგაო.

მადამ ჩან კაიში – რა კარგად შეუმჩნევიათ, მომწონს!

მწერალი – ვიცი, რომ ეთაყვანებით ამერიკულ მუსიკას, ხელოვნებას, დემოკრატიულ ღირებულებებს. სამივე დამ ამერიკაში მიიღეთ განათლება, ჯორჯიის „ვესტლის" კოლეჯში. თქვენ ინგლისური ლიტერატურა, ფილოსოფია, მხატვრობა გიტაცებდათ. ასე გახასიათებენ სამივე დას: უფროსს, ცინ ლინს, რომელიც ჩინეთის პირველი ლედი იყო, ჩინეთი უყვარდა; თქვენ შუათანა ბრძანდებით და ცნობილი ხართ, როგორც ძალაუფლების მოყვარული, ქარიზმატული ქალბატონი; უმცროსი, აი ლინ სონგი, ფულის მოყვარულ, ჩინეთში ყველაზე მდიდარ ქალბატონად ითვლებოდა. როგორც ცნობილია, თქვენ ჩინურად ცუდად საუბრობთ!

მადამ ჩან კაიში – მამა, ჩარლ სონგი, თორმეტი წლის იყო, გემით ამერიკაში რომ გაიქცა, იქ იმ გემის კაპიტნის ხელშეწყობით სწავლა გააგრძელა ქრისტიანულ კოლეჯში, დაამთავრა უნივერსიტეტი და შანხაიში დაბრუნდა მისიონერად, აბრაამ ლინკოლნის იდეოლოგიის გამტარებლად და დემოკრატიული ღირებულებების გამავრცელებლად ჩინეთში.

მწერალი – საკუთარი გამომცემლობა დააარსა და პირველად ფული ბიბლიის გამოცემებით იშოვა, ავრცელებდა ლინკოლნის ცნობილ გამონათქვამებს. ცოლად ადგილობრივი მილიონერის ქალიშვილი შეირთო.

მადამ ჩან კაიში – დიახ, დედა ელიტის წარმომადგენელი იყო და დიდი როლი შეასრულა მამას წარმატებული ბიზნესიმპერიის შექმნაში. როცა ათი წლის ვიყავი, საცხოვრებლად ამერიკაში გადავედით. მშობლებს მიაჩნდათ, რომ კარგი განათლება უნდა მიეცათ შვილებისათვის.

მწერალი – თქვენმა ძმამ ჰარვარდი დაამთავრა და ფინანსურ გენიოსსაც უწოდებდნენ. თქვენი სიძის, სუნ იატსენის, მისი თანამებრძოლებისა და, რა თქმა უნდა, თქვენი ოჯახის დამსახურებაც იყო ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის ჩამოგდება და ეს დემოკრატიული ჩინეთისთვის ბრძოლით იყო გამართლებული.

მადამ ჩან კაიში – რასაკვირველია!

მწერალი – ო, ეს დემოკრატია... რომ არ მოეგონებინათ. იცით, რა თქვა სტალინმა? მე ყოველთვის მეგონა, დემოკრატია ხალხის ძალაუფლება იყო, მაგრამ მეგობარმა რუზველტმა ამიხსნა, რომ ეს მხოლოდ ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს.

მადამ ჩან კაიში – სტალინი! სტალინი!

მწერალი – კეთილი, ნუ ვისაუბრებთ სტალინზე. თქვენს ინტერვიუში თაყვანს სცემდით (პირადადაც იცნობდით) „ნიუ-იორკის სიტი ბალეტის" დამაარსებელს, ჯორჯ ბალანჩინს, რომელიც ქართველია და ძალიან ამაყობდა, საქართველოს ულამაზესი კუთხიდან, იმერეთიდან რომ იყო!

მადამ ჩან კაიში – სტრავინსკიმ გამაცნო ჯორჯ ბალანჩინი. საინტერესო იყო მათი ერთობლივი ნამუშევარი – „აპოლია მუსაგეტი".

მწერალი – სადღაც წავიკითხე, ბალანჩინმა თავის მონაფეს უთხრა: „ადრე თუ გვიან ჩემს სპექტაკლებს დაივიწყებენ, მაგრამ ხალხს ყოველთვის ვემახსოვრები, როგორც მასწავლებელი". მოწაფე ეკითხება, რატომო. ბალანჩინის პასუხია საინტერესო: „იმიტომ, რომ მე ვასწავლე ამერიკას ბალეტი!"

მადამ ჩან კაიში – ჯორჯ ბალანჩინს ამის თქმის უფლება ჰქონდა, უფლების მოპოვება კი დიდ და ტიტანურ შრომას ითხოვს!..

მწერალი – საკმაოდ გახმაურებული ისტორიაა თქვენი და ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატის რესპუბლიკური პარტიიდან, კენდელ უილკის სასიყვარულო რომანი.

მადამ ჩან კაიში – ჩვენ ჩინეთში შეეხვედით ერთმანეთს, სტუმრად რომ იყო.

მწერალი – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აღარ გაინტერესებდათ, გენერლის მუნდირს ყოფილიყავით ამოფარებული.

მადამ ჩან კაიში – რვა თვით დავტოვე ჩინეთი. ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესამდე ყველაფერი შემოვიარე და ამერიკას ჩინეთისთვის ქველმოქმედებისაკენ მოვუწოდებდი. აშშ-მა სამი მილიარდის დახმარება გამოუყო ჩინეთს.

მწერალი – ცნობილია თქვენი გამოსვლა ამერიკის კონგრესშიც, თუმცა თქვენი რომანი გრძელდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთან. აღმოსავლეთში თქვენ აპირებდით დედოფლობას, დასავლეთში კი, თუ აშშ-ის პრეზიდენტი უილკი გახდებოდა, ორნი მართავდით მსოფლიოს, არა?

მადამ ჩან კაიში – სამწუხაროდ, გულის ინფარქტით გარდაიცვალა და საარჩევნო კამპანიას გამოეთიშა.

მწერალი – არავის გაახსენდებოდა ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი უილკი, რომ არა მისი რომანი მადამ ჩან კაიშისთან. ამერიკელ ჟურნალისტს სახე რომ დაუკაწრეთ, ესეც ცნობილია.

მადამ ჩან კაიში – ვერ ვიხსენებ!

მწერალი – რასაკვირველია, ეს უკვე წარსულია. თქვენს დაბრუნებამდე ჩინეთის პრესა წერდა, რომ თქვენ და გენერალი დაშორდით.

მადამ ჩან კაიში – მე დავუბრუნდი მეუღლესა და ჩინეთს!

მწერალი – გენერლის გაღიზიანება თქვენი და უილკის რომანით იყო გამოწვეული. საერთო შვილები არ გყავდათ, მაო და მისი თანამებრძოლები ძლიერდებოდნენ. სამწუხაროდ, ამასობაში, ფრანკლინ რუზველტიც გარდაიცვალა.

მადამ ჩან კაიში – იძულებული ვიყავი, ისევ ჩამოვსულიყავი აშშ-ში დახმარებისთვის და შევხვედროდი ამერიკის ახალ პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს.

მწერალი – რომელიც არ გწყალობდათ ჩინელ ნაციონალისტებს. უფრო მეტიც, ქურდებს გიწოდებდათ, რადგან საკუთარი კეთილდღეობისთვის ფლანგავდით გამოყოფილ თანხებს. დღეს არაფერი მიკვირს, ასე ფლანგავდნენ ჩვენი პოლიტიკოსები გამოყოფილ დახმარებებს, მათ შორის აშშ-დან. გომედანის მთავრობას ხალხი მხარს აღარ უჭერდა და ამიტომაც ჩინეთის პირველი ლედი ცხრა დღე გალოდინათ და არ მიგიღოთ.

მადამ ჩან კაიში – მსოფლიო ჰიტლერზე გამარჯვებას ზეიმობდა. ამერიკიდან ჩინეთში აღარ დავბრუნებულვარ, ტაივანში წავედი და გენერალთან ერთად ვაგრძელებდი ბრძოლას ჩინეთის გასაერთიანებლად. ლეგიტიმურ მთავრობას ჩვენ წარმოვადგენდით!

მწერალი – თქვენ კვლავ მოწინავე პოზიციებზე ხართ. საგარეო პოლიტიკას კურირებთ, მაგრამ 1975 წელი მძიმე აღმოჩნდა – გენერალი გარდაიცვალა და მისმა ერთ-ერთმა შვილმა გადაიბარა ქვეყანა. ოჯახური გადაბარებები აზიის ქვეყნებისათვის ახალი ხილი არ არის.

მადამ ჩან კაიში – საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავედი, მანჰეტენზე ვცხოვრობდი.

მწერალი – ბოლოს 1995 წელს გამოჩნდით ამერიკის კონგრესში და საბოლოოდ ჩამოშორდით პოლიტიკურ ცხოვრებასაც.

მადამ ჩან კაიში – ხატვა დავიწყე, რისთვისაც არასოდეს მეცალა.

მწერალი – საზოგადოებამ ბოლოს 2003 წელს, 105 წლის ასაკში გნახათ თქვენს პერსონალურ გამოფენაზე. მე ვიყავი ნიუ-იორკში ამ გამოფენაზე, სადაც, თქვენი ბრძანებით, არც ერთი ნახატი არ გაყიდულა. რატომ?

მადამ ჩან კაიში – ჩემი ნახატების გაყიდვით არასოდეს ვიყავი დაინტერესებული, არც – მდიდარი მეპატრონეებით. სიკვდილის შემდეგ ჩემზე, როგორც პოლიტიკოსზე, უფრო მეტს ილაპარაკებენ, ვიდრე როგორც მხატვარზე.

მწერალი – ვსაუბრობთ კიდეც.

მადამ ჩან კაიში (ბოკალს გაუწვდის) – აი, ხომ დაინტერესდი ჩემით...

მწერალი – დავინტერესდი იმიტომ, რომ თქვენ ხართ ქალბატონი, რომელსაც გქონდათ ამბიცია, გემართათ აღმოსავლეთი. უკაცრავად, მაგრამ... დღევანდელი არეული მსოფლიოდან თუ გადავხედავთ თქვენს ამბიციებს, შეიძლება ადამიანს უცნაურადაც მოეჩვენოს. თუმცა, შეუძლებელი არაფერია.

მადამ ჩანკაიში – დასავლეთიდან ასაკის წესრიგის დამყარება მინდოდა.

მწერალი – ჯენერალ ჩან კაიშის მუნდირის გარეშე?

მადამ ჩან კაიში – მე მას ჩემი ქმედებით გავუხანგრძლივე ქვეყნის სათავეში ყოფნა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მუნდირიც შევუნარჩუნე!

მწერალი – მაგიჟებთ! სწორადაც დავინყე თქვენთან თამაში, პიესის სამიზნედ რომ აგირჩიეთ. სხვათა შორის, მებრძოდნენ, რადგან დიდ დროს გითმობდით.

მადამ ჩან კაიში – ვინ?

მწერალი – ვინც არ არის საინტერესო. მე ჩემს ინტუიციას ვემორჩილები – რასაც მკარნახობს, ბოლოს იმას ვაკეთებ.

მადამ ჩან კაიში – როგორ გგონიათ, ადამიანებს ფრთები აქვთ?

მწერალი – რასაკვირველია. მე ხომ სულ დავფრინავ!

მადამ ჩან კაიში – მიპასუხეთ, ადამიანს ფრთები აქვს?

მწერალი – ბევრჯერ მიფიქრია: ინტუიცია, წარმოსახვა, ფანტაზია ადამიანში ფრთების ფუნქციას ასრულებს, – რაც გაგიტაცებს. ვნახოთ, პიესის წერის დროს თუ დამეხმარება და რა გამომივა.

მადამ ჩან კაიში – ჩემს სიმპათიას იმსახურებ.

მწერალი – თქვენ წარმოიდგინეთ, ამას ყოველთვის ვგრძნობდი.

მადამ ჩან კაიში – ინტუიცია არ გღალატობთ!

მწერალი – თქვენი ქვეყნის დღევანდელმა პრეზიდენტმა, სი ძინფინგმა, 2013 წელს გაახმოვანა ოფიციალური პეკინის ამბიციური გეგმა ძველი აბრეშუმის გზის თანამედროვე რეალობაში აღდგენის შესახებ. ჩემი ქვეყანა, საქართველო, 45-ე სახელმწიფო გახდა, აზიის ინფრასტრუქტურების საინვესტიციო ბანკის შექმნას რომ მოაწერა ხელი.

მადამ ჩან კაიში – მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ დადგებოდა დრო, როცა ევროპა და, საერთოდ, დასავლეთი, აზიისკენ შემობრუნდებოდა...

ამერიკის, როგორც ზესახელმწიფოსა და პეკინის, პოტენციური ზესახელმწიფოს, კავშირს მივესალმები. ამისთვის ვიბრძოდი და ძალ-ღონეს არ ვიშურებდი!

მწერალი – თქვენი პოლიტიკაში მოღვაწეობის დროს გეგონათ, შეძლებდით?

მადამ ჩან კაიში – დიახ!

მწერალი – მთავარი ის არ არის, რომ ილოცო, მთავარი რწმენაა!

მადამ ჩანკაიში – საუცხოო ღვინო გქონიათ!

მწერალი – საქართველო ღვინის სამშობლოა...

მადამ ჩან კაიში (ჭიქას გაუწვდის) – სიამოვნებით მოვუსმენდი საინტერესო მუსიკას!

მწერალი (ღვინოს უსხამს) – გნებავთ, ქართული პოლიფონიური მუსიკა მოგასმენინოთ?

მადამ ჩან კაიში – სიამოვნებით!

მწერალი უახლოვდება ლეპტოპს, არჩევს სიმღერის კლიპს. ეკრანზე მთელი სიდიადით ისმის სიმღერა და ჩნდება საქართველოს ხედები. მწერალი, სიამაყის გრძნობით აღვსილი, ქალბატონს უახლოვდება, ჩინურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს" იღებს, გადაფურცლავს. მუსიკა მინელდება.

მწერალი – ჩინი მეორე ტერმინია, რომელიც მოიხსენიება ქართულ წყაროებსა და მხატვრულ ლიტერატურაში. ზოგადად, ეს ძალზე ძველი ტერმინია და პირველად ქართულ წყაროებში ჩინი მოხსენიებულია სპარსულიდან XII საუკუნეში თარგმნილ „ვისრამიანში". მასვე ვხვდებით „ვეფხისტყაოსანსა" და ჩახრუხაძის „თამარიანში". ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსნისეული" ტექსტი: **„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: / „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".** მკვლევართა აზრით, ეს სტრიქონი ერთგვარი გამოძახილია ძველ ჩინურ ქვაზე ნაწერი პოეზიის, „ში-ძინისა", იმავე ხალხური სიმღერების წიგნისა, კერძოდ კი, ამ წიგნის ერთ-ერთი ლექსისა – „ოდა მეგობრობის შესახებ". გთხოვთ, ჩინურ ენაზე, აი, ეს ფრაზა წაიკითხოთ. ნახეთ, როგორ ჟღერს ქართულად: **„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".**

მადამ ჩან კაიში ჩინურ ენაზე წარმოთქვამს ფრაზას. სასმისით ხელში მიემართებიან მაყურებლისაკენ. ისმის მუსიკა. ეკრანზე საქართველოს ხედებია. მაყურებელს მდაბლად უკრავენ თავს.

ფ ა რ დ ა

სალომე ბზარაშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეუფლება ფილოლოგის სპეციალობას.

ლექსები გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა ჟურნალსა და ლიტერატურულ კრებულში. დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ მისი დებიუტია.

სალომე ბზარაშვილი

პირბადის მიღმა

მე მინდა, ჩემებრ გულწრფელად გსურდე,
შენ ამჯობინებ, ორივე ვდუმდეთ,
გარს შემოვავლოთ ჩვენს ფიქრებს ზღუდე,
რა ძლიერადაც არ უნდა ვდუღდეთ.

თვალს დავუხუჭავთ ერთურთის შიშებს,
მაგრამ პირბადის მიღმა ამოვთქვამთ,
– ასე ჩემს ტკივილს ვერავინ იგებს,
სიამეს ჩადრის მიღმა ამოვწვავთ.

გზად ასცდებიან დღეებს ნატვრები,
გადასძალავენ რუტინის ხმები,
თვალებს ავიხვევთ ჩვენი ნაკლებით,
რომ ერთმანეთის ღირსი ვერ ვხდებით.

მე მინდა, ჩემებრ გულწრფელად გსურდე,
შენ ამჯობინებ, ორივე ვდუმდეთ,
გარს შემოვავლოთ ჩვენს ფიქრებს ზღუდე,
რა ძლიერადაც არ უნდა ვდუღდეთ.

„მწყანრებს მითნლთნე“ – ჯემალ ჯავაშვილი

ვერ გაუთენდა სათქმელს წარმოთქმა,
გული ამ ლოცვას ვერ დაივიწყებს,
და შენი ნატვრა ოთახს წამოსცდა,
მოგონებები არ გაიცრიცნენ.

კარებს გავაღებ, მხოლოდ შენ გელი,
გელი და ვიცი, მაინც არ მოხვალ,
მოვრწყე დილითაც ყვავილი ხმელი,
ჯიუტად თითქოს კვირტი გამოვა.

კვლავ შიშს აყვება მწუხარე მწუხრი,
სიკვდილს ვწერ, ვიცი, ჩემგან გამოვა,
გარდაუვალმა მომკვეთა მუხლი,
შენ და ჭლექიან სულის გამოცდამ.

ბროწეულები ასკდება ფრესკას,
გაზაფხულები აღარ მთავრდება,
დრო კი ყოფიდან, შენიდან მფხეკავს,
ნასიმპტომარი კვდომა ახლდება.

ვერ გაუთენდა სათქმელს წარმოთქმა,
ამ ლოცვას ბოლო სიტყვებად ვიტყვი,
რწმენა ხომ ჩემში შენით სახლობდა,
უშენოდ მხოლოდ ვიცდი და ვიცდი.

ანტიდეპრესანტი

შენი სიტყვების ვადგენ ლექსიკონს
და ტრანსკრიფციად ვურთავ შენს თვალებს,
კანზე რომ მიქრობს სიკვდილის ხალებს,
მაცოცხლებს, ვიცი, ერთ დღესაც მავნებს.

და როგორც ყვავილს, უმზეოს, უწყლოს,
ვერაყვავებულ ღიმილს ძარღვებში
აუჟღერდი და ისე დასჩემდი,
ტუჩს ეტმასნები მაინც წარღვნებში.

გაჩერდი, ქარმა მინდვრები დაწვა,
გულს მოდებული შიშის ვერხვების,
ტკივილი როცა ჩემს ხელებს დაწვდა,
შენ გამოგლიჯე, სულზეც მეხები.

ვიცი, ერთხელაც ანტიდეპრესანტს,
შენს ხელებს ვეღარ ვიგრძნობ ამ მხრებზე
და ლექსიკონში დავიწყებ ძებნას
სიტყვის, რომლის თქმაც ეკიდა ბეწვზე.

შიშის ციშიშვლე

შენი ჭირიმე, შენი ჭირი მე,
კვლავ უმძიმთ სიტყვებს, რომ დაიტიონ
შენი შიშების ურცხვი სიშიშვლე
და მზრუნველობით ალპობ ყვავილებს,
შენ სულში ბოლო ბოლქვსაც ამოთხრი
და სხვის უმზეო გულში გადარგავ.
შენი ჭირიმე, ვერ დაიტიე შენივე თავი,
შენივე გულის მიღმა აღმოჩნდი,
სადაც ჟანგბადი ყველასთვის გეყო,
და თავთან მაინც ფლიდი გამოჩნდი
წვიმა სხეულში აგიმეტყველდა,
ზეცის საკინძე რისხვით მოგლიჯა
და ცისარტყელას დაუჭრა კაბა,
რომ შენი თავი გამოიტირო
და დილის სისხამს წამოდგე მყარად.
შენი ჭირიმე, შენი ჭირი მე,
მაგ გულში ყველას ტკივილს უჩრდილე,
და სამსხვერპლოზე გაშალე აფრა,
შენი ძვლები კი მტვრად იქცა, გაშრა,
სულის ჭლექი კი უხორცოდ გტანჯავს.
კვლავ უმძიმთ სიტყვებს, რომ დაიტიონ
შენი შიშების ურცხვი სიშიშვლე,
ამიტომ ხმალი თავთან იშიშვლე.

* * *

დუმილის ქვემეხებს ისვრიან,
ზვიგენი ოქროს თევზს გარს უვლის,
ცრემლებით ბუნკერში იცდიან,
სიკვდილი კარს როდის ჩაუვლის.
მოჟონავს მწუხრი კვლავ წუხილით,
ცის გულმკერდს ასკდება ძარღვები,
საათში შიში ძგერს ქუხილით,
სეტყვავენ სულს ყეფით ძაღლები
და რჩება, ობოლი ბავშვივით,
სულ მარტო კიევი ცეცხლის ქვეშ,
სისხლის სუნს ქუჩებში ქარი შლის,
ზვიგენი თავს ესხმის ოქროს თევზს.

წყალს ვერ გაგატან სიზმარივით

წყალს ვერ გაგატან სიზმარივით, რომ არ ამიხდე,
სულზე შემეხე, ახლა გინდა კარში გახვიდე?
ვიცი, შენც არ გსურს ჩემგან ნახვიდე,
და მონატრებით მომაშტერდე, როცა არ გიმზერ.
მოგონებები ამილოკავს მწუხრზე საფეთქლებს,
სადაცაა რომ ღელვით აფეთქდეს,
ეჭვით შევცქერი
ახლა ყველა ხიდს,
ყველა ქარს,
შენ რომ გიბიძგებს,
ჩემთან მოსულმა რომ განდევნო ჩემი სურვილი
და დალაგებულ ცხოვრებისკენ ლტოლვით ნახვიდე.
შენ წყალს გამატან სიზმარივით? უკვე აგიხდი,
და ეშმამ უწყის, ვერ დავიხსნით ყულფიდან თავებს,
ვიცი, კარიდან მოინდომებ, მალვით გახვიდე,
მე ამ ჭრაჭუნსაც ვიკვიატებ, მაჯებს მაჭრის დღეს
და როცა ღამე უძილობით მითევს სამძიმარს,
ნატვრით დამცდები, შენ კი ამ დროს სხვის გულზე გძინავს...

თორნიკე გოგნიაშვილი

***

ასეთ სიზმარეთში პირველად მოვედი,
პირველად ვუყურებ ღამეს – ვარსკვლავიანს,
ჩემი შეგრძნებები, ვით ვაზის რტოები,
კოსმიური შუქით გადასასხლავია.
კრიალა ტბისა ხილვით სული დამიმშვიდდა,
ქარები მიმღერიან რაღაც ნაცნობ ბგერას,
ნოტი დაილვარა თეთრი კლავიშიდან,
ვარდების გაშლის ჟამი ახლოვდება.
ვარდებისაფერი, ვარდების სადარი,
სული ჰქონებიათ სიზმარეთის ალებს,
შენი უკვდავების ბაღები სად არის,
უსასრულობისა ხილვა მოგიტანე.
სულში მოგიძებნი სევდის საფირონებს,
(სულის მღვიმეებში მკრთალად დარჩა ბინდი),
მოვალ, უკვდავების ვარდებს ჩავიკონებ,
ერთად გადავლახოთ ცეცხლი გალაქტიკის.

ცენი

ვერ ვვითარდებით, ჩამოვრჩით მრავალს,
ჩვენ ვერ შევქმენით კარგი ბრენდები,
ვეძებთ მუდამ ძველ თავგადასავალს,
მუდამ წარსულის გზასთან ვჩერდებით.
დიდი ხანია მივყვებით დროშებს,
საკუთარ თავზე ლეგენდებს ვიქმნით,
თითქოსდა უნდა აგვეწყო პორშე
და ვირის ტაჩკაც დავშალეთ თითქმის.

თეთრი ყლოვიშები

სულ წარსულს იღებს კარგი თუ ფლიდი,
ცხოვრების აზრად, თავად თუ ბოლოდ,
დიდი ხანია, ხანია დიდი,
რაც გადმოცემის თანახმად ვცხოვრობთ.
არ გვჯერა ფხიზლის და გვჯერა მთვრალის,
ხელის ცეცებით სხვის სახლს რომ აგნებს,
ეს არეული ქვეყანა არის,
ასი ტრაბახი და ნული საქმე.

ცვლა

დაისი დადნა, ბზის ლანდები ეცლება მინებს,
სულის თაღებში აღარა კრთის ჩუმი ლანდება,
უსახურია ყველაფერი და მოვიწყინე,
მომწყინდა წერაც, უკვე სიტყვაც ნაგვიანდება.
შენც გვიანდები, მე გავცქერი შარას ბურიანს,
მარტო ვარ, მარტო, გულს სტუმრობენ ძველი ურვები,
და ვფიქრობ იცი, რომ ცხოვრება ფაიფურია
და ბზარები აქვს უფლისგანაც განუკურნელი.

მარტის თოვლი

რა ლამაზია ეს ფიფქები გარგრის კვირტებთან,
შეხედავ, მარტის შლეგი გული გაგიკვირდება.
დაღვრემილი ვარ და ზეციდან ფიფქები ცვივა,
ლამპიონების შუქში მოჩანს ფიფქები მძივად.
გარგრის კვირტები ეჩვევიან სიცივის ბადეს
და ეს ამინდი რაღაც სხვაგვარ შეგრძნებებს ბადებს.
სხვანაირია ოცნებები ასეთ ამინდში,
ფიფქები ცვივა, თოვლისფერი უკრავს კლავიში.
რა ლამაზია, ღმერთო ჩემო, კვირტებზე თოვლი,
რა დიადია, რა მეტყველი, მომცველი ყოვლის.

თეთრეული ჯვლოვრნ

რამდენი რამე გახსოვს,
რამდენი რამე იცი,
ისმენდი ომის მღერას,
თუ სარკინოზთა სიცილს.
ნახე მრავალი ჯვარცმა,
ავთა ბოღმით და შუღლით,
არ დაცემულხარ, არა,
არ მოგეღალა მუხლი.
ო, რამდენ რამეს იტევს,
შენი ტოტები მღვრიე,
რამდენი სევდა ზიდე
და ყველას მოერიე.
როგორ შეძელი ნეტავ,
რამდენ ჯოჯოხეთს მზერდი
და ძველებურად ფეთქავს,
ცხრა საუკუნის მკერდი.

***

თითქმის დაიმსხვრა იმედი ყველა,
თვალებიც თითქოს იქცნენ ლოდებად,
გული, რომელიც ელოდა შველას,
დღეს აღარაფერს არ ელოდება.
ისევ სევდა და მელანქოლია,
ვუყურებ ყოფის უსახურ კადრებს,
ცხოვრებას მკაცრი სახე ჰქონია,
მე სხვანაირი მეგონა ადრე.
მე სხვანაირი მეგონა მაშინ,
როცა ვიყავი ბავშვის თვალებით
და ვუყურებდი ვარსკვლავებს ცაში
და მიხაროდა ის მწვერვალები.
ახლა სხვაგვარი ჟამია, ვამჩნევ,
თავს ვერ არიდებს ყოფა სვასტიკებს,
ამ ეპოქიდან რა უნდა დარჩეს?
მხოლოდ ტკივილი და სისასტიკე.

გაზაფხულია

გაზაფხულია, იღვიძებს კვირტი,
ჩემს ბაღში ბევრი კვირტი იღვიძებს
და გულიც თითქოს ზეცისკენ ილტვის
და გულიც თითქოს ცისკენ მიიწევს.
რა სჯობს გაზაფხულს პატარა ბაღში,
ოცნებების და გიტარის სევდას,
როცა მარტო ხარ, მარტო ხარ სახლში
და საკუთარ თავს გულმართალს ხედავ.
რა სჯობს გაზაფხულს პატარა სახლში,
გარშემო ფიქრებს ათას რამეზე,
ხან, ამდენ კვირტის გაღვიძებაში,
ლექსის დაწერას მდუმარ ღამეზე.
ახლაც მდუმარე ღამეა ჩემთან,
ვსვამ წითელ ღვინოს, ვუსმენ გიტარას,
და იცით, ვგრძნობ, რომ ამინდთან ერთად
ჩემმა თვალებმაც გამოიდარა.

▶▶ დასასრული

თეიმურაზ ფანჯიკიძე

ამბავი პირველი სიყვარულისა

იმ ზაფხულს დედულეთს, მთიან სოფელში ავედი, დიდი ხნის უნახავი ნათესავები მოვინახულე, ურთიერთმოკითხვის და მოფერების შემდეგ სასაფლაოზე მოვინდომე წასვლა, იქ, სადაც ჩემი ბებია-ბაბუა, ბიძა-ბიცოლა და ბიძაშვილი არიან დასაფლავებული.

წასვლა მარტოს მინდოდა, რადგან მარტო არავის ერიდები, უფრო გაქვს ფიქრის, გრძნობებში ჩაღრმავებისა და თავისუფლად გამოხატვის საშუალება. გარდა ამისა, სასაფლაოზე ჩემი პირველი სიყვარულიც განისვენებს, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის, რადგან ეს საიდუმლო არასდროს არავისთვის გამიმხელია, თვით ჩემი სიყვარულის ობიექტისთვისაც კი.

ბიძაშვილებმა მარტო არ გამიშვეს, თვითონაც წამოვიდნენ, თან სანთლები, პატარა დოქით ღვინო და მცირეოდენი მისაყოლებელიც წამოიღეს, რათა საფლავზე მისულთ წასულებისთვის შენდობა გვეთქვა.

სასაფლაო სოფლის ლამაზ, შემაღლებულ ადგილასაა. ადრე აქ სამების ეკლესიაც იდგა, მაგრამ მოუვლელობისაგან დაიშალა და ახლა მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. სასაფლაოზე ამოსვლა ჩემთვის ყოველთვის დიდ მღელვარებასთან, მოგონებებთან, განცდებთან იყო და არის დაკავშირებული, ამიტომ, ამისთვის წინასწარ დიდხანს ვემზადები ხოლმე..

იქ ასულები ჯერ ჩემი წინაპრების საფლავთან მივედით, სანთლები ავანთეთ, წასულები გავიხსენეთ, გულწრფელი ცრემლიც გადმოვღვარეთ და უკლებლივ ყველას შესანდობარი ვთქვით. იმ დროსა და იმ რეალობაში გადავინაცვლეთ, როცა ისინი ცოცხლები იყვნენ, ცხოვრობდნენ და მხიარულობდნენ. ღვინის ნაწილი შევსვით, ნაწილი საფლავებს მოვასხით. მოგონებებში ჩაძირულნი ერთხანს მდუმარედ ვიდექით.

მერე სხვა საფლავების დათვალიერებაც მოვინდომე, რადგან აქ ბევრი ჩემი ძველი ნაცნობი და ბავშვობის მეგობარია დაკრძალული. სულ ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი პირველი სიყვარულის საფლავთანაც მივედი. ნათესავებს ვთხოვე, ცოტა ხანს ეცლიათ. თხოვნა შემისრულეს და გვერდზე გადგნენ.

ვიდექი ჩემი პირველი სიყვარულის საფლავთან გარინდებული, ფიქრებში და ტკბილ-მწარე მოგონებებში ჩაფლულ-ჩაძირული. უცებ ყველაფერი აღდგა, წარსული გაცოცხლდა, ამოტივტივდა და თვალწინ დამიტრიალდა. ყველაფერი გავიხსენე, თანაც ისე უშუალოდ, ისე ცოცხლად, რომ გეგონებოდათ, ეს ამბავი სულაც ახლა ხდებაო.

...მაშინ მხოლოდ 13 წლისა ვიყავი. გოგონა სხვა სოფლიდან იყო ჩამოსული მარტოხელა დეიდის დასახმარებლად. პირველად მაშინ ვნახე. ლამაზი იყო, ქერათმიანი, მზისაგან გარუჯული წარბები, ოდნავ მოგრძო, საყვარელი სახე და საოცრად მიმზიდველი, მოელვარე ლურჯი თვალები ჰქონდა, რითაც სხვებისაგან აუცილებლად გამოარჩევდი. რამდენჯერმე ჩვენთან ერთად წამოვიდა სამწყემსურში – დეიდის ძროხები გამოდენა.

ზაფხული იდგა, ცხელოდა, ბავშვები დიდი ხის ჩრდილში ვიყავით შეყუჟული, საქონელი კი თავისთვის ბალახობდა. დროდადრო აბეზარა ბუზები პირუტყვს კბენდნენ, გამწარებული ძროხები ტყეში შერბოდნენ და იქიდან გვიან საღამოსღა გამოდიოდნენ.

ნამდვილი პასტორალი იყო, თუმცა მაშინ ეს სიტყვა არც კი გამეგონა. ჩვენ უფრო ჩვენი ბავშვური თამაშებით ვიყავით გართულნი: დანასობია, ხუთკენჭობია, დამალობანა, ხიდობანა, ხანდახან პატარა ოჩხარსაც (ქეიფს) ვაწყობდით ხოლმე. სახლიდან გამოტანებული პატარა ნობათი თუ საგზალი ყველას გვქონდა. ცეცხლს ვანთებდით, ტყეში დაკრეფილ სოკოებს ვწვავდით, ვმღეროდით, ვცეკვავდით, ერთმანეთს ვეშაირებოდით. იყო დიდი გართობა და მხიარულება.

მომწონდა, მიხაროდა იქ წასვლა, რადგან ისე ვერთობოდი და ისე კარგად ვგრძნობდი თავს, რომ საღამოს სახლში დაბრუნებაც აღარ მინდოდა.

სიყვარული კი მოულოდნელად, როგორღაც უცბად დამატყდა თავს. პირველად ვერც კი მივხვდი, რა ხდებოდა ჩემს გულში, სანამ ამ მანამდე სრულიად უცნობმა გრძნობის დიდმა ტალღამ არ დამარტყა, ზევით, ჰაერში არ ამიტაცა და ქვემოთ აღარ დამიშვა.

გვიან გავაცნობიერე, რომ ამ ახლად შემომატებული გოგოსადმი რაღაც ახალი, ტკბილი და აქამდე განუცდელი გრძნობა დაიბადა ჩემში. ვერაფრით ვერ მივხვდი, ეს გრძნობა როგორ და როდის გაჩნდა ან საიდან მოვიდა, არაფრისაგან როგორ აღმოცენდა და ჩემი სულის საკუთრება უმალ როგორ გახდა. მაგრამ ერთს, ალბათ, ყველაზე მთავარს მალევე მივხვდი – იმ დღიდან ჩემი ცხოვრება სხვანაირი გახდა...

შინ დაბრუნებული იატაკზე დავჯექი, თავი ენერგიულად გავაქნიე, თითქოს ძილბურანში ვიყავი და მინდოდა გამოვფხიზლებულიყავი, გავრკვეულიყავი, ასე უცბად რა მოხდა, რა დამემართა? რადგან ისეთი უჩვეულო შეგრძნება მქონდა, თითქოს სხეულში რაღაც საოცრად თბილი, უსაშველოდ დიდი, ტკბილი ნაკადი ჩამეღვარა, რომელმაც მთელი სხეული დალაშქრა, მოიარა და უჩვეულოდ დაატკბო იქაურობა.

ამ უჩვეულო გრძნობისაგან გაკვირვებული და გაოგნებული კიდევ ერთ რამეს მივხვდი – ამ ქერა, ლურჯთვალება გოგოს გარეშე უკვე ქვეყნად აღარაფერი მინდოდა, არ მსიამოვნებდა და არ მაინტერესებდა. თუ ის იქ იყო, სადაც მე ვიყავი, ყველაფერი კარგი და მშვენიერი ჩანდა, ყველაფერს აზრი ჰქონდა, მის გარეშე კი – არაფერს.

ჩვენი პასტორალები კი გრძელდებოდა. ვცდილობდი, რომ არავის არაფერი შეემჩნია. მორცხვი, ძალიან თავმოყვარე და ყოველთვის ჩემს თავში ჩაკეტილი ვიყავი.

ამ ამბის შემდეგ რაღაც სხვანაირი, უფრო კეთილი, უფრო დამთმობი და უფრო მომფერებელი გავხდი...

ზაფხულმა სწრაფად გაიარა. სექტემბერში სწავლა იწყებოდა და თბილისში დავბრუნდი, ის გოგო კი თავის სოფელს დაუბრუნდა. მერე ისე მოხდა, რომ ბებია გარდამეცვალა და დედულეთი-საკენ რამდენიმე წელი ვეღარ გავიხედე. დარჩა ჩემი გრძნობა სიყვარულის ობიექტის გარეშე.

მერე და მერე ცხოვრებამ კიდევ უფრო ბევრი სხვადასხვა სიურპრიზი და რეალობა შემომთავაზა, ძველი გრძნობები და სახეები თანდათან გაფერმკრთალდა, ისინი სხვა ემოციებმა, გრძნობებმა, ახალმა შთაბეჭდილებებმა დაჩრდილა და გადაფარა.

ამ ჩემმა მოულოდნელად ამოხეთქილმა სიყვარულმაც თითქოს მიიძინა, მაგრამ არ მომკვდარა, ჩემში ისევ ნაზად ფუთფუთებდა შეუდარებელი ლამაზი მოგონების სახით.

ეს გრძნობა მაშინაც და ახლაც ძალიან მეძვირფასება, რადგან მის შემდეგ მსგავსი შეგრძნება, რომელიც მთელ ჩემს არსებას ასე დაიპყრობდა და ასე დაეპატრონებოდა, ცხოვრებაში აღარც მქონია...

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ცხოვრებამ თავისი გზით იარა. იყო სწავლა, შრომა, დაოჯახება, შვილები, წარმატებები და წარუმატებლობებიც, მაგრამ ეს ძველი, ჩემს თავს გადახდილი ამბავი არა და არ კვდებოდა. სულის სიღრმეში, მყუდრო, მოფარებულ, დაცულ ადგილას მყარად იჯდა და დროდადრო თავს მახსენებდა.

მერეღა გავიგე, რომ ჩემი პირველი სიყვარული გვიან, მაგრამ მაინც გათხოვილიყო და გათხოვების შემდეგ მალე გარდაცვლილიყო. ამ ამბავმა თავზარი დამცა, განვმარტოვდი და ჩემი პირველი სიყვარული ისე გამოვიგლოვე.

ადრეც გითხარით, რომ ამაზე არც მანამდე და არც ამის შემდეგ არავისთვის არაფერი მიამბნია, თუმცა ჩემი ეს ჩუმი, გაუმხელელი გრძნობა და გამოუთქმელი სევდა სულ თანმდევდა და დღესაც თანმდევს.

მაშინ კი ვიდექი მის საფლავთან გაუნძრევლად. საფლავის დიდ ქვაზე მისი პორტრეტი იყო გამოსახული. ღია, მოკლესახელოებიანი სარაფანი ეცვა, საოცრად უხდებოდა, თმა ლამაზად ჰქონდა დაწნული და მხიარულად იცინოდა. დიდხანს ვერ მოვაშორე თვალი. ქვემოთ მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები ეწერა. ახლაღა გავიგე, რომ ჩემზე რამდენიმე თვით უფროსი ყოფილა... წამოსვლა აღარ მინდოდა. თვალებზე მოწოლილ ცრემლებს ვეღარ ვიკავებდი...

ბიძაშვილებმა დამიძახეს, მივდივართო. ძლივს გამოვერკვიე. ფეხი ავითრიე, მაგრამ სხვა გზა არ იყო, უნდა წავსულიყავი. მათ ხომ ვერაფერს ვეტყოდი, ვერ ავუხსნიდი და ვერ გავაგებინებდი თუ რა გრძნობები ბობოქრობდა ჩემში.

სასაფლაოს ჩამოვცდით. გაბრუებული, მოგონებებით დამძიმებული და დატვირთული მოვდიოდი. რაღაცას მეკითხებოდნენ, მაგრამ არ მესმოდა.

უფრო ქვემოთ სათიბები იწყებოდა. დავინახე, რომ მინდორში ორი კაცი ენერგიულად თიბავდა. სოფლურ სიჩუმეში კარგად ისმოდა ცელების შხუილი. გათიბული ბალახი ლამაზად წვებოდა მთიბავების გვერდით.

მივესალმეთ. მოვიკითხეთ. მათაც თავაზიანად შემოგვღიმილეს. უკვე ბევრი გაეთიბათ. ბიძაშვილმა ჩემთვის ეს უცხო ადამიანები გამაცნო. ისინი ჩემი პირველი სიყვარულის ქმარი და მამამთილი აღმოჩნდნენ. გაკვირვებისგან ლამის ადგილზე ჩავჯექი. მერე, გონს ოდნავ რომ მოვედი, მთიბავებს უკვე სხვა, არცთუ ისე კეთილი თვალით შევხედე, თუმცა მაინც დამაინტერესა, თუ ვის გაყვა ჩემი პირველი სიყვარული და ვისთან გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები...

ჩემ წინ ორი გაბურძგნილი მამაკაცი იდგა – ერთი ხანშიშესული, მეორე – ახალგაზრდა. ამ უკანასკნელისათვის ჩემი პირველი სიყვარული ნამდვილად ვერ გავიმეტე. გონებაში წარმოვიდგინე მათი ქორწილი, პირველი ღამე, მათი ურთიერთობა და ცუდად გავხდი. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ვიღაცამ, რაღაც, ჩემი კუთვნილი, ძალიან ძვირფასი რამ უხეშად, ძალით წამართვა, წამგლიჯა და სხვას გადასცა.

ვცადე, გონებიდან ამომეგდო ეს უსიამო წარმოსახვა და იგი ძველი, ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილი მხიარული ბავშვობის სურათით შემეცვალა, მაგრამ ჩემს წარმოდგენებში სულ ეს წვერიანი, გაბურძგნილი, ჩემთვის უკვე ბორტად ქცეული კაცის სახე იჭრებოდა წინ და აშკარად ხელს მიშლიდა.

ჩემს თავს გავუბრაზდი: ნეტა, რას ვითხოვ, რა უფლებით ვითხოვ, ვისთან რა და რისი პრეტენზია უნდა მქონდეს მე, რომელსაც ეს გრძნობა არასოდეს არავისთან მითქვამს და არასდროს არავისთვის გამიმხელია?

სიმართლე თუ გინდათ, სიმართლე ეს იყო, მაგრამ იმწუთას, რატომღაც მტკიცედ მწამდა და მჯეროდა, რომ დიდი გაუგებრობა და უსამართლობა მოხდა, რომ ჩემი პირველი სიყვარული ამ გაბურძგნილი, ჩემთვის უკვე საძულველი ადამიანის გამო დავკარგე.

დათრგუნვილი წამოვედი. ნათესავებსაც რაღაც მექანიკურად, გულის გარეთ ველაპარაკე, შინ გაშლილმა სუფრამაც უღიმღამოდ ჩაიარა. გონება მოგონებებს დაეპყრო, მთლიანად გარდასულ ამბებში ვიყავი ჩაფლული და იქიდან უკან ვეღარ გამოვდიოდი.

დედულეთიდან დაგეგმილზე ადრე, დამძიმებული და დარდით შეპყრობილი დავბრუნდი. ერთი სული მქონდა, მარტო დავრჩენილიყავი – ფიქრებში ისევ ჩემს წარსულს და მოგონებებს ვეომებოდი.

მერე თითქოს ცოტა ჩავწყნარდი, თუმცა მაინც ვერ მოვისვენე, თავს ვერ მოვერიე. გულში ისევ სევდა, ტკივილი, სიცარიელე და ტკბილ-მწარე მოგონებების ტბა თუ ზღვა დამრჩა.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ იმ ყრუ, გამოუთქმელი სევდის და ტკივილის ექო დღესაც, მრავალზე მრავალი წლის შემდეგაც ჩამესმის, რომელიც თავს არადა არ მანებებს. დროდადრო ჩემს უნებურად ამოტივტივდება ხოლმე და გულს ძველებურად ააღელვებს, ააძგერებს და ააფორიაქებს...

თავს იმითღა ვიწყნარებ და ვიმშვიდებ, რომ კარგია, ცხოვრებაში ასეთი ღრმა და დაუვიწყარ გრძნობას რომ შეხვდები, გამოცდი, შეიგრძნობ და მის გარეშე არ წახვალ ამ უცნაური, საშინლად ხანმოკლე და გაუგებარი წუთისოფლიდან...

სიყვარულის ქმარი

არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავს ეკუთვნიან – თავიანთი თავისთვის ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე, მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოპოვებისთვის ზრუნავენ.

ქალბატონი მაყვალა გეურქოვა-სააკიანი კი ისეთი ადამიანი იყო, რომელიც ყველას, მთელ სამყაროს ეკუთვნოდა. მისი სული კრიალა წვეთივით ციმციმებდა; პატარა ბავშვივით შეჰხაროდა ბუნების სილამაზის ყოველგვარ გამოვლინებას. სიყვარულით სავსე გულით მიუყვებოდა ცხოვრების გზას, რჩეულთა გზას; ხელში მუდმივად მოგიზგიზე ჩირაღდანი ეკავა – ერთი ადამიანის ანთებული გულიდან სხვათა გულებამდე რომ მიეტანა, რათა ისინიც აენთო და გაეთბო სიყვარულის, მეგობრობის, სიკეთის, სათნოების ცეცხლით. ეს მომლოცველობას ჰგავდა – სიტყვის მადლისა და ძალის გაზიარება-გაზრდას რომ ემსახურებოდა.

ქართველ და სომეხ ხალხთა შორისაც უამრავი სიმი გააბა და ორივე ენაზე აამეტყველა მრავალი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერალი. დიდი და შეუფასებელია მისი ამაგი.

2010 წელს ერევანში ახალგაზრდული დელფიური თამაშები იმართებოდა. ბატონმა იური ლუკაშვილმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან ფოტო-კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სხვა მოსწავლეებთან ერთად ჩემი შვილი – ბარბარე ასანიძეც წაიყვანა; ბარბარე მაშინ აკადემიური სიმღერის კონკურსშიც მონაწილეობდა, როგორც სოლოშემსრულებელი. მეც დავემგზავრე. ბატონი გივი შაჰნაზარის რჩევით, ერევანში ჩასვლისთანავე ქართული სათვისტომო „ივერიის“ წარმომადგენელს, ქალბატონ ნაირა ჭოველიძეს შევხვდი; ჩემი პოეტური კრებულები გადავეცი საჩუქრად და ვთხოვე, ქალბატონი მაყვალა გეურქოვასთვისაც მიეწოდებინა. ქალბატონმა მაყვალამ მეორე დღესვე დამირეკა და მითხრა: თქვენი წიგნი ხელში ავიღე თუ არა, აღარ დამიდვია, სანამ სულ არ წავიკითხე. თუ ნებას მომცემთ, თქვენს შემოქმედებას სომხურად გადავთარგმნი, რათა სომეხმა მკითხველმა გაგიცნოს, განიცადოს ის სიხარული, რაც მე განვიცადე, გაიგონ, რომ საქართველოში თქვენნაირი პოეტი ცხოვრობს.

მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე; გამიხარდა და გამიკვირდა, რომ სრულიად უცნობმა ადამიანმა, ქართველ და სომეხ ხალხთა შორის გადებული სულიერი ხიდის მშენებლობაში ჩამრთო.

ქალბატონი მაყვალა გეურქოვა-სააკიანი სიცოცხლის ბოლომდე თარგმნიდა ჩემს ნაწერებს და პატარა ბავშვივით თავს ევლებოდა. მისი თარგმნილი ჩემი პირველი პოეტური კრებული „ქრიზთა“ ერევანში, გამომცემლობა „ჰაიასტანში“ 2016 წელს გამოვიდა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის თანადგომით. სომხეთიდან ჩამოსულ დელეგაციასთან ერთად თბილისში, მწერალთა სახლში მოეწყო წიგნის წარდგენა.

მეორე, ორენოვანი, ქართულ-სომხური წიგნის – პოეზიისა და პროზაული ჩანაწერების კრებულის „ექოს“ გამოსვლას ქალბატონი მაყვალა მთელი გულით ელოდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოცემა შეგვაგვიანდა და ვეღარ მოესწრო წიგნის ხილვას. ახლახან თამარ შაიმელაშვილის ჟურნალ „ანეულის“ წარდგენისას მეგობარმა პოეტმა, ქართული სათვისტომო „ივერიის“ ვიცე-პრეზიდენტმა, წიგნის რედაქტორმა ნინო სპანდერაშვილმა სომხეთიდან ჩამომიტანა ერევანში გამოცემული, ჩემივე ნახატებით გაფორმებული „ექოს“ რამდენიმე, სასიგნალო ეგზემპლარი და ძალიან გამახარა. მჯერა, ჩემი „ექო“ ორ ერს – ქართველ და სომეხ ერს შორის სიყვარულის ექოდ იხმიანებს და კიდევ უფრო დაგვაახლოებს ერთმანეთთან.

იმ მრავლისმთქმელ გამოხმაურებებს, რომლებიც ჩემი წიგნების სომხეთში გამოცემას მოჰყვა, ქალბატონი მაყვალას მიერ უბადლოდ შესრულებული თარგმანის წყალობად მივიჩნევ. გაწეული დიდი შრომის, გამოვლენილი ღვთაებრივი სიყვარულის წილ ჩემი ახალი წიგნი „ექო“ მთარგმნელის, ქალბატონი მაყვალა გეურქოვა-სააკიანის ნათელ ხსოვნას მივუძღვენი.

მადლობა გამომცემლობა „ჰაიასტანის“ დირექტორს და წიგნის რედაქტორს – ბატონ ვაჰაგნ სარგისიანს; წიგნში შესული წერილების ავტორებს: ლალი ურდულაშვილს, ნინო სპანდერაშვილს, ჰარუთიუნ ჰოვნათანს.

მადლობა ქალბატონ მაყვალა გეურქოვა-სააკიანს უსაზღვრო, უპირობო სიყვარულისთვის! იმ დიდი საჩუქრისთვის, რომელსაც „სიყვარულის ექო“ ჰქვია!

თამარ გაბროშვილი

ევროპული დონის ფილოსოფოსი

მიხეილ მახარაძე

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან ქართულ ფილოსოფიაში იწყება ახალი ერა, რომელიც შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც ფილოსოფიის მოშინაურება საბჭოთა საქართველოში. ეს სწორედ ის ხანაა, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ერთიმეორის მიყოლებით ყალიბდება ფილოსოფიის არამარქსისტული დარგების – ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და აქსიოლოგიის (ეთიკა და ესთეტიკა) განყოფილებები. მოგვიანებით კი ისტორიული მატერიალიზმის განყოფილება გარდაიქმნა ასევე არამარქსისტულ – კულტურის ფილოსოფიის განყოფილებად. ამ საშური საქმეების სათავეებთან ძირითადად იყვნენ ქართველ ფილოსოფოსთა ახალი თაობის წარმომადგენლები. ეს იყო ოქროს თაობა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი გახლდათ *თამაზ ბუაჩიძე* (1930-2001) – მაღალი დონის ფილოსოფოსი, ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი და შესაწიშნავი პიროვნება.

რა იყო მანამდე, ვიდრე თამაზ ბუაჩიძე ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისთვის გახდებოდა ცნობილი? სამწუხაროდ, მისი გავლილი ცხოვრების გზა სულაც არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. რბილად არის ნათქვამი. მან გაიარა ცხოვრების ურთულესი გზა, რაზედაც ნათლად მეტყველებს ამ გზაზე არსებული უმძიმესი მომენტებისა თუ დაბრკოლებების უბრალო ჩამონათვალი: შვიდი წლის იყო, როცა მამა დააპატიმრეს და დახვრიტეს, შემდეგ კი დედა გადაასახლეს ყაზახეთში; მისი უფროსი ძმა, 14 წლის ანდრო (ანრი), რომელმაც მამის ხვედრის გამო „შური იძია“ და სკოლაში კედლიდან ჩამოხია ეჟოვის სურათი, შუა აზიაში გაამწესეს, უზბეკეთში, სადაც ის 16 წლის ასაკში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა თუ დაიღუპა.

ამის შემდეგ 7 წლის პირველკლასელი თამაზი და მასზე უფროსი და – ნელი იქცნენ „ხალხის მტრის“ შვილებად. მალე სკოლაც გამოუცვალეს – ნაკლებპრესტიჟულში გადაიყვანეს. მაგრამ სკოლაში, რომელშიც ძირითადად ებრაელი ბავშვები სწავლობდნენ, დიდი სითბო და სიყვარული დახვდა. თამაზ ბუაჩიძე იგონებდა: „**ჩვენს კლასში გაანაწილეს უფასო საუზმის ერთი ბარათი, ეს ბარათი მე მომცეს ... სკოლაში გადაწყვიტეს, სპეკტაკლი დაედგათ, მე მთავარი როლი მომცეს. მახსოვს, ერთხელ, ავად გავხდი და სკოლა გავაცდინე. იმავე დღეს, სიშორის მიუხედავად, ჩემს სანახავად კლასელები (ისაკა დავითაშვილი და მიშა იოსებაშვილი) ამოვიდნენ, „პონჩიკები“ მომიტანეს**“.

მტანჯველი ხანა თამაზ ბუაჩიძის ცხოვრებაში ამით არ დამთავრებულა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის წარჩინებულ და გამორჩეულ სტუდენტს, როგორც „ხალხის მტრის“, შვილს უარს ეუბნებიან სტალინურ სტიპენდიაზე. ასევე უარს ეუბნებიან მას ასპირანტურაში მიღებაზე, სამუშაოს დაწყებაზე და ა. შ. საბაბი ერთი და იგივეა – „ხალხის მტრის“ შვილი.

ასეთ წნეხს ყველა ვერ უძლებს, ხელს ჩაიქნევს ცხოვრებაზე, სასოწარკვეთილებაში ვარდება, ბოროტდება ... საბედნიეროდ, უსამართლობამ იგი ვერ გატეხა და გამოწვევებს სიმდაბლეებზე ამაღლებული რეაქციით უპასუხა.

„ეს იყო თავისებური, შინაგანი (იქნებ ბოლომდე გაუცნობიერებელი) პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. თამაზ ბუაჩიძე არ აღმოჩნდა ამ რეჟიმის უპირობო გავლენის მსხვერპლი (როგორც სხვა მრავალი), იგი მას [შეხვდა] გარკვეული მზაობით, როგორც მთლიანი, გონის მქონე პიროვნება. ეს იყო პრინციპული არჩევანი სიძულვილსა და სიყვარულს შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ“ (იაგო კაჭკაჭიშვილი)...

1958 წლიდან თამაზ ბუაჩიძის ცხოვრებაში შემობრუნების დრო დგება. ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად ხელმეორედ დანიშნული გამოჩენილი ფილოსოფოსი და

დიდი ადამიანი სავლე წერეთელი გაიხსენებს ერთ დროს თავის ნიჭიერ სტუდენტს, მოძებნის იმ დროისთვის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს თამაზ ბუაჩიძეს და ფლოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურის კარებს გაუღებს.

1958-1961 წლებში იგი ასპირანტია, 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1998 წელს სადოქტორო (ისიც კოლეგებისა და მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით. მას ხარისხები ფილოსოფოსობის საზომად არ მიაჩნდა). ფილოსოფიის ინსტიტუტში თამაზ ბუაჩიძის განვლილი გზა ასეთი იყო: უმცროსი მეცნიერთანამშრომელი-ინსტიტუტის სწავლული მდივანი (1966-1967 წწ.)-ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1967-1997 წწ.)-ინსტიტუტის დირექტორი (1997-2001 წწ.).

დროის ეს თითქმის 40-წლიანი მონაკვეთი თამაზ ბუაჩიძის ცხოვრებაში ხასიათდება როგორც შემოქმედებითი, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობით. ამასთან, პარალელურად მთელი 30 წლის განმავლობაში, როგორც დირექტორის მოადგილე, წარმატებით უძღვება ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას.

თამაზ ბუაჩიძემ დატოვა უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა ფილოსოფიაში: მონოგრაფიები, მრავალი სამეცნიერო სტატია, პუბლიცისტური წერილები და რეცენზიები.

მის მონოგრაფიებში განხილულია ჭეშმარიტების ობიექტურობის საკითხი, ფილოსოფიის არსების პრობლემა ჰეგელთან, სიცოცხლის ფილოსოფია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია და კოტე ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. სამეცნიერო ნაშრომებსა და სტატიებში კი იგი ეხება ჰეგელის, რიკერტის, ნიცშეს, იასპერსის, არქიმანდრიტ გაბრიელისა და ნიკოლაი დობროლიუბოვის შეხედულებებს ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხზე. ამასთან, ჰეგელს ეძღვნება ხუთი სტატია და ორი წერილი, ნიცშეს კი ორი სტატია. სტატიები, წერილები და რეცენზიებიც მრავალფეროვანია და მათზე დაწვრილებით შეჩერება შორს წაგვიყვანდა.

საგაზეთო წერილი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყოველმხრივ განვიხილოთ თამაზ ბუაჩიძის მეცნიერული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა. შევჩერდები მისი შემოქმედების ზოგიერთ მომენტზე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ქართულ სინამდვილესთან. უნდა ითქვას, რომ ამას აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამასთან, თამაზ ბუაჩიძის მიერ განხილული ეს საკითხები მნიშვნელოვანია როგორც ქართული კულტურისთვის, ისე მომავალი თაობებისთვის.

დავიწყოთ ე. წ. „მომარქსვის“ ფენომენით.

საბჭოთა პერიოდში ჰუმანიტარულ დისციპლინებში, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, სამეცნიერო ნაშრომში გატარებული აზრები აუცილებლად უნდა ყოფილიყო „გამაგრებული“ მარქსიზმის კლასიკოსების ციტატებითა და პარტიული დოკუმენტების დირექტივებით. ამ მოვლენას ფილოსოფოსები ირონიულად „მომარქსვას“ უწოდებდნენ. ახლა, როცა სპეციალურად ჩავუჯექი თამაზ ბუაჩიძის შემოქმედებას, გაკვირვებული დავრჩი ჩემი „აღმოჩენით“. მის არცერთ მონოგრაფიაში, სამეცნიერო სტატიასა თუ პუბლისტურ წერილში ერთხელაც არ არის დამოწმებული მარქსიზმის კლასიკოსების ციტატები თუ პარტიული დოკუმენტები. არადა, მათი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია გამოქვეყნებული. მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები მარქსი, როცა გაუცხოების პრობლემაა განხილული. ამ საქმეში კი მარქსის არხსენება გაუმართლებელი იქნებოდა და „ცოდვად“ ნამდვილად ვერ ჩაითვლება. მის ნაშრომებში ძირითადად დამოწმებულია ფილოსოფიის კლასიკოსების (კანტი, ჰეგელი, შოპენჰაუერი, კირკეგორი, ნიცშე, დილთაი, ჰუსერლი, რიკერტი, რასელი, ვიტგენშტაინი, შპენგლერი, კარნაპი და სხვ.) შრომებში გატარებული აზრები.

„მომარქსვის“ იგნორირების თვალსაზრისით საყურადღებოა თამაზ ბუაჩიძის პირველი მონოგრაფია – „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ“ (1964). საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტებისა და ჭეშმარიტების ობიექტურობის პრობლემა მარქსიზმისთვის ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანია. ამასთან, მონოგრაფია გამოქვეყნებულია 1964 წელს და მისი ავტორი ახერხებს გვერდი აუაროს მარქსიზმს. ეს მით უფრო გასაკვირია ახლო წარსულში მისი ოჯახის უმძიმესი რეპრესიების ფონზე.

საყურადღებოა თამაზ ბუაჩიძის მონოგრაფია ჰეგელზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჰეგელის ფილოსოფიაზე კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის ფუნდამენტური გამოკვლევების შემდეგ ძნელია რაიმე ახლის თქმა. თამაზ ბუაჩიძემ კი ეს მოახერხა და ახლებურად წაიკითხა ჰეგელი, ფილოსოფიის უახლესი მონაპოვრების საფუძველზე შეაფასა ჰეგელის ფილოსოფია. თუნდაც *სამყაროსთან ადამიანის ღირებულებითი მიმართების* განხილვა ჰეგელთან, რად ღირს.

სრულად ვიზიარებთ თამაზ ბუაჩიძის მიერ ჰეგელის ახლებურად წაკითხვისას გამოთქმულ აზრს: *„თ. ბუაჩიძემ შეძლო ჰეგელის მოძღვრებაში ისეთი სიღრმისეული შრეების წამოწევა, რომლებიც მისი წინამორბედი ქართველი ფილოსოფოსების მხედველობის არეში არ მოქცეულა. ეს არის ფილოსოფიის არსების პრობლემა“* (სარედაქციო კოლეგია, იხ. თ. ბუაჩიძე. ფილოსოფიური ნარკვევები. ტ. I, 2003, გვ. 7).

თამაზ ბუაჩიძემ ჰეგელის ფილოსოფიის ცალკეულ საკითხებს არაერთი სამეცნიერო სტატია მიუძღვნა. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების პარალელები ჰეგელის აზრებთან.

თამაზ ბუაჩიძე განსჯის საგნად იხდის ილიას „განდეგილში“ მეუდაბნოეს ნათქვამს – „...გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა“ და ჰეგელის „უბედურ ცნობიერებას“. გარკვეული წიაღსვლების შემდეგ პოულობს მათ შორის განსხვავებასაც და მსგავსებასაც. მისი აღნიშვნით, ილიასთან ამ უბედურების მიზეზია არა შინაგანი, არამედ გარეგანი, რასაც საფუძვლად უდევს გარკვეული მსოფლმხედველობა და მის საფუძველზე არჩეული ცხოვრების წესი.

ჰეგელის აზრით, „უბედური ცნობიერება“, ერთი მხრივ, შეიცავს უცვლელ ცნობიერებას, რომელიც მიმართულია მარადიულისკენ, „იმქვეყნიურისაკენ“, ხოლო მეორე მხრივ, ცვალებად ცნობიერებას, რომელიც მიმართულია ცვალებადისკენ, „ამქვეყნიურისკენ“. უბედური ცნობიერება ცდილობს განთავისუფლდეს ამქვეყნიურისგან და ამაღლდეს იმქვეყნიურამდე. ჰეგელი სწორედ ამ დუალიზმის – უბედურების წყაროს (ამქვეყნიური და იმქვეყნიური, ღმერთი და ადამიანი ...) დაძლევაში ხედავდა გამოსავალს, – აღნიშნავს თამაზ ბუაჩიძე.

თამაზ ბუაჩიძის აზრით, თუკი ჰეგელისთვის უბედურების მიზეზია ადამიანსა და ღმერთს შორის გაჩენილი უფსკრული, ილიასთან პრობლემაა ადამიანებს შორის არსებული უფსკრული, რაც აუცილებლობით წარმოშობს განდეგილობას.

თამაზ ბუაჩიძის საბოლოო დასკვნა ასეთია: აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ჰეგელისა და ილიას თვალსაზრისებს შორის, განსხვავების გარდა, საერთოც არის, რაც დაკავშირებულია ამ უბედურებისგან თავის დაღწევასთან: *„ამქვეყნიური, მიწიერი არ არის მოკლებული ღირებულებას, გონიერებას, ღვთაებრიობას და ამიტომ ის უნდა გახდეს სარბიელი ადამიანის მოქმედებისა“* (იქვე, გვ. 604).

როგორც დავინახეთ, თამაზ ბუაჩიძემ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის „უბედურ ცნობიერებასა“ და ასევე დიდი ქართველი პოეტის ილია ჭავჭავაძის პოემის – „განდეგილის“ გმირის წამოცდენაში – „ესეთი მერგო მე... უბედურსა“ – განსხვავებისა და სიახლოვის ნიშნების ღრმა, საფუძვლიანი და დამაჯერებელი ანალიზი მოგვცა.

ასევე, საყურადღებოა თამაზ ბუაჩიძის მოსაზრება ჰეგელისა და გალაკტიონის „შეხვედრის“ თაობაზე. პოეტის ერთ პატარა ლექსში განსჯის საგანია ახალგაზრდის „ზნეობის სიტყვა“ და ბებრის ოხვრა, რომ ახალგაზრდის მსოფლხედვასთან შედარებით გამოცდილ ბებერს უპირატესობა აქვს და შესაბამისად აქ დამოწმებულია ჰეგელი– „როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჰეგელთან ყრმას, ახალგაზრდას მიაჩნია, რომ სამყაროში ქაოსია და მან უნდა გარდაქმნას და დაამყაროს წესრიგი. თამაზ ბუაჩიძის აზრით, ყრმის გულუბრყვილო პოზიციას ჰეგელთან უპირისპირდება გამოცდილი, ჭარმაგი მამაკაცის პოზიცია, რომელიც ცდილობს, თავისი მიზნები განახორციელოს სამყაროსთან უშუალო მიმართებაში. ამ მიმართებით ჰეგელის პოზიცია „გამსჭვალავს გალაკტიონის „თელ-ლექსს“. ავტორი ეკავება ინიციატორ ... – აისახა თუ არა ჰეგელის ეს თვალსაზრისი ... ლექსებში“. თამაზ ბუაჩიძის საბოლოო დასკვნა ასეთია: *„თავისი რთული გზის რომელიღაც მოსახვევზე ჰეგელის ფილოსოფიით შთაგონებულმა გალაკტიონმა სამყაროს „გონიერად“ შეხედა, ხოლო იმას, ვინც სამყაროს გონიერად უყურებს, „სამყაროც გონიერად უყურებს“ – როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“* (იქვე, გვ. 367).

თამაზ ბუაჩიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰეგელის ფილოსოფიაში მოცემულ ობიექტური გონის ცნებას. თუკი სუბიექტური გონი სიცოცხლეა, ობიექტური გონი გასაგნებული სიცოცხლეა. ამ საკითხის განხილვისას ის სანიმუშოდ მიმართავს კულტურას, რომელიც არის გასაგნებული გონი. ამ მიმართებით ქართული კულტურის სინამდვილიდან იღებს ყინწვისის „ჯვარცმასა“ და „ვეფხისტყაოსანს“.

ქართველმა ხელოვანმა ყინწვისის ფრესკაში თავისი მრწამსი „ჩადო“, ის არის ერთგვარი „ტექსტი“, რომელშიც უნდა ამოვიკითხოთ მასში ჩადებული საზრისი. ეს საზრისი კი არის ობიექტური გონი. თუ როგორ არის განივთებული ობიექტური გონი ამ მასალაში, იმის მიხედვით წარმოჩნდება წმინდად „ქართულის“ სპეციფიკურ-ადამიანურ თვისებები – ულრმესი მოწიწება ღვთიურის წინაშე, სიმაღლის სიყვარული და სხვ.

ასევეა „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაშიც. მისი არსის გაგებით, მასში ვწვდებით „ქართულს“. *„რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ქართველი კაცის მსოფლგაგებაა მოცემული. დაკვირვებული თვალი აქ ამოიკითხავს ქართველის დამოკიდებულებას ბუნებასთან, მეორე ადამიანთან, სიცოცხლესთან, სიკვდილთან“* (თ. ბუაჩიძე. ფილოსოფიური ნარკვევები. ტ. I, გვ. 392).

აი, ასე აკავშირებს თამაზ ბუაჩიძე ჰეგელის ფილოსოფიის ღრმა აზრებთან ქართული მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებს. მთლიანობაში მისი ნაშრომების განხილვა სხვადასხვა მიმართებით ბევრ სიახლეს დაგვანახვებს, მაგრამ ეს სხვანაირი კვლევის საქმეა.

თამაზ ბუაჩიძემ მშვენიერი მონოგრაფია დაწერა თავისი მასწავლებლის, კოტე ბაქრაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასევე საყურადღებო და საინტერესო წერილები მიუძღვნა მეორე მასწავლებელს – სავლე წერეთელს, გამორჩეულ მეგობრებს, ზურაბ კაკაბაძესა და ნიკო ჭავჭავაძეს...

მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა: მისმა ყოფილმა დისერტანტმა გაბედა და უთხრა: „ბატონო თამაზ, მერიდება, მეც მეცნიერებათა კანდიდატი ვარ და თქვენც. გთხოვთ, დაიცავით სადოქტორო“. ბატონ თამაზს გაეღიმა... და მეტი არაფერი.

ახალგაზრდის მუდარით ნათქვამს და თხოვნას მე გავეცი პასუხი. ხარისხები ჩვენ გვჭირდება და არა ჭეშმარიტ ფილოსოფოსებს. ასე ამოიწურა ეს დიალოგი.

ასეთია ზოგად შტრიხებში – „ხალხის მტრის“ შვილის, ჭეშმარიტი ფილოსოფოსის, თაობების აღმზრდელისა და კარგი ქართველის, თამაზ ბუაჩიძის რელიეფური პორტრეტი.

P. S. ახალგაზრდებს ვურჩევ, წაიკითხონ თამაზ ბუაჩიძის წიგნები, სტატიები და წერილები, როლებიც თავმოყრილია მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული „ფილოსოფიური ნარკვევების“ ორტომეულში (I ტ., 2003, II ტ., 2005) და დარწმუნდებიან იმაში, რომ საქართველოს მისი სახით გამორჩეული ევროპული დონის ფილოსოფოსი ჰყავდა.

▶▶ დასასრული. დასაწყისი „ლს“ №10

ტრაგიკული საწყისი და ტრაგედია

კორნელი და რასინი – ჩვენი ორი დიდი ტრაგიკოსი პოეტი – ინარჩუნებენ „ეროვნული“ ავტორების სახელს. ისინი დიდხანს წარმოადგენდნენ ჩვენი ლიტერატურული კულტურის საფუძველს. უფრო თუ განვაზოგადებთ, ტრაგედიის ცნება თითოეული ფრანგისთვის დაკავშირებულია კლასიკური ტრაგედიის არსებობასთან, რომლის წესები მას შეასნავლეს ლათინურ უღლებასა და განტოლებებთან ერთად. შეიძლება არც იდგეს იმდენად ამ კლასიკური ტრაგედიის არსებობის უარყოფის საკითხი, არც მისი ღირებულების უარყოფისა. ჟაკ ტრიუშემ გამოაქვეყნა ბრწყინვალე ნაშრომი, „კლასიკური ტრაგედია საფრანგეთში“ (საფრანგეთის საუნივერსიტეტო გამომცემლობა, კოლექცია „სუპ“, 1975), რომელიც განაახლებს და აფართოებს საკითხის შესწავლას: მას სურს, წარმოადგინოს „ეს ჟანრი მთლიანად“(გვ.9), თუნდაც აღიარებული შედევრების უპირატესობა გამოკვეთილი იყოს, და მან იცის, რომ ჩვენი დროის ადამიანი გვერდს ვერ აუვლის პრობლემას, რომელსაც აყენებდნენ დიდი მოაზროვნეები ბოლო ასი წლის განმავლობაში.

კომპარატიული პერსპექტივა განსხვავებულია, თუმცა არ არის მოწყვეტილი წინამდებარე პერსპექტივიდან. გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1.„საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთგაცვლა“: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა ნამდვილად არის „საერთაშორისო“. არისტოტელე არის „გადამცემი“, რომელსაც ჰყავს მრავალი „მიმღები“, რადგან ის დიდხანს მიაჩნდათ და ზოგჯერ ახლაც მიაჩნიათ ტრაგედიის დასავლელ თეორეტიკოსად. არ ვგულისხმობ მხოლოდ XVI-XVII საუკუნეების არისტოტელეს მიმდევრებს, არამედ ასევე ნიცშეს, რომელიც მრავალგზის ასახელებს არისტოტელეს და ითვალისწინებს მას, თუნდაც ეკამათებოდეს. კიდევ ერთი: ნიცშე კარგად იცნობს ევრიპიდეს „ბაკქი ქალებს“, რადგან „ტრაგედიის წარმოშობაში“ (N12) ის მოიაზრებს ამ ნაწარმოების განსაკუთრებულ სტატუსს პოეტის შემოქმედებაში; ანტონენ არტო, აგრეთვე, გაოცებული დარჩა, როცა აღმოაჩინა ეს ტრაგედია და 1946 წელს გეგმავდა მის დადგმას, მაგრამ „სისასტიკის თეატრის“ მის მიერ შექმნილი პროექტი განხორციელდა სხვა წარმოდგენით 1935 წელს – ეს იყო დიდი ინგლისელი რომანტიკოსის პ.ბ. შელის „ჩენჩების ოჯახი.“

2. „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“: სხვადასხვა ლიტერატურაში არის აღორძინების ანალოგიური პერიოდები, რაც არ აიხსნება მთლიანად გავლენებით. ასეთია, მაგალითად, კლასიციზმი, რომელიც მხოლოდ საფრანგეთის მონაპოვარია, მაგრამ ის გვხვდება მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა დროს. ნიმუშად ავიღოთ კლასიკური ტრაგედია: რასინი საფრანგეთში XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ასევე ჯონ დრაიდენი ინგლისში (მისი „ესეი დრამატულ პოეზიაზე“ თარიღდება 1668 წლით), გოეთე გერმანიაში („იფიგენია ტავრიდში“, 1779), ვიტორიო ალფიერი იტალიაში („აგამემნონი“, „ორესტე,“ 1783).

3. „მსოფლმხედველობათა ისტორია:“ შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ფაქტობრივად, გულისხმობს შემეცნებას და აბსტრაქტულ აზროვნებას ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად ან კიდევ გრძნობების ინტელექტუალურ წარმოსახვასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ის დაკავშირებულია ფილოსოფიასთან. შეუძლებელია ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდას“ შესწავლა შოპენჰაუერზე მითითების გარეშე, რომლითაც გაუღენთილია მისი მოსაზრებები. ტრაგიკული საწყისის კონცეპტს მართლაც ეძღვნება საკუთრივ რეფლექსიური ნაშრომები (მათ შორის ყველაზე ცნობილია მიგელ დე უნამუნოს „ცხოვრების ტრაგიკულობის გრძნობა“ (1912), ან ჟან-მარი დომენაკის „ტრაგიკულ საწყისთან დაბრუნება,“ 1967).

4. „ლიტერატურული სტრუქტურალიზმი“ და, უფრო ზუსტად, ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ეს არის „ ლიტერატურული მორფოლოგია“: ფორმის შესწავლა, ტრაგედია, რომელიც ჰგონიათ კოდიფიცირებული არისტოტელეს მიერ, სინამდვილეში იცვლება საუკუნეების მანძილზე. თვით რასინის ტრაგედია, რომელიც შთაგონებულია და ბაძავს ბერძნულ ტრაგედიას, წარმოდგენილია განსხვავებული კომპოზიციით. „ფედრაში“ ან „ანდრომაქეში“ არ არის ქორო. ის შეტანილია რასინის მხოლოდ ბიბლიურ ტრაგედიებში „ესთერი“ და „ათალია.“

ნიცშეს მიხედვით, საუკუნეთა მანძილზე მიტოვებულ ბერძნულ ტრაგედიას განახლების პერიოდი დაუდგა ვაგნერის მუსიკალური დრამის სახით, განსაკუთრებით სიტყვებისა და მუსიკის შერწყმით, მაგრამ, თუ დაწვრილებით განვიხილავთ, „ბაკქი ქალების“ და „ტრისტანის“ აგებულება თითქმის არ ჰგავს ერთმანეთს.

ქვეყნებს შორის საზღვრების გადალახვისას და ანტიკურობიდან თანამედროვე ეპოქაში გადმოსვლისას, ცხადია, დაგვჭირდება ტრაგიკული საწყისის ფილოსოფიური ცნების დაზუსტება და ტრაგედიის სახეცვლილებების აღმოჩენა. არსებობს მრავალი ნაშრომი ტრაგედიის შესახებ. ჩვეულებისამებრ, ტრაგედიას განიხილავენ, როგორც ფორმას და, კიდევ უფრო კონკრეტულად, როგორც ლიტერატურულ ფორმას (Jaques Morel, La Tragédie, Armand Colin, coll. « U », 1964, ou encore Alain Couprie, Lire la Tragédie, Dunod, 1994). ეს ჟანრი ხელმეორედ აღმოაჩინეს ჰუმანისტებმა (შუა საუკუნეებში ტრაგედია ნიშნავს მხოლოდ საბედისწერო და სისხლიანი ამბების თხრობას), კერძოდ, არისტოტელეს წყალობით. ის მიჩნეულია ყველაზე კეთილშობილად პოეტურ ჟანრებს შორის. საქმე ეხება, როგორც ამას წერდა რასინი „ბერენიკის“ წინასიტყვაობაში, „ხუთი აქტის განმავლობაში მაყურებლების ყურადღების მიპყრობას მარტივი ქმედებით, რომელიც შენარჩუნებულია ძლიერი ვნებების, მშვენიერი გრძნობებისა და გამოხატვის ელეგანტურობის საშუალებით), მაგრამ მითი ბიძგს აძლევს ტრაგედიის არსის შესწავლას, რაც მარტივად შეიძლება აღინიშნოს აღიარებული ტერმინით – ტრაგიკული საწყისი. ამის შესახებ უნამუნო წერს: „ფილოსოფია არის, აგრეთვე, მეცნიერება ცხოვრებისეულ ტრაგედიაზე, ფიქრი ცხოვრების ტრაგიკულობის გრძნობაზე“ (Muguel de Unamuno, Le Sentiment tragique de la vie, trad. M. Faure-Beaulieu, NRF-Gallimard, 1937.)

ეს ტრაგიკული საწყისი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ტრაგედიის საწყისი წერტილი. ასეთი კვლევა დაახლოებით შეესაბამება ნიცშეს მიერ არჩეულს „ტრაგედიის დაბადებაში“: ავტორმა, ბერძნული ფილოლოგიის პროფესორმა ბაზელის უნივერსიტეტში, რომელიც ჯერ კიდევ არის შოპენჰაუერის ფილოსოფიის (ის ტრაგედიას განიხილავდა, როგორც „უმაღლეს პოეტურ ჟანრს“) ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ 1872 წლისათვის, გადაწყვიტა მისი ფესვების ძიება ანტიკურ საბერძნეთში, რადგან ბერძენი ხალხი მიაჩნდა ყველაზე გენიალურ ხალხად. ეს დიაქრონული პერსპექტივა გაბატონებულია ადრეულ ტექსტებში, რომელშიც იხვეწება პროექტი, მაგალითად, ლექციის, „ბერძნული მუსიკალური დრამა“ (18 იანვარი, 1870) დასაწყისში. აღნიშნული პერსპექტივა რჩება „ტრაგედიის დაბადებაში“: ტრაგედია დაიბადა დიონისეს კულტიდან; მან მწვერვალს მიაღწია ესქილესთან და სოფოკლესთან; შემდეგ ის დაბალ დონეზე ეშვება ევრიპიდესთან, უფრო გვიან ლირიკულ ტრაგედიამდე დაბლდება. მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის მისი განახლება თანამედროვე ეპოქაში და ამის ნიმუშს იძლევა ვაგნერის მუსიკალური დრამა.

პირიქით, ტრაგიკული საწყისი შეიძლება მივიჩნიოთ ტრაგედიის ემანაციად. ამ შემთხვევაში, ტრაგიკულის გრძნობა იქნებოდა მაყურებლის მიერ განცდილი გრძნობა ტრაგედიაზე დასწრებისას ან, უფრო სუსტი ფორმით, მკითხველის გრძნობა ტრაგედიის კითხვისას. არისტოტელემ „პოეტიკაში“ შემოიტანა ტერმინების ცნობილი წყვილი: „შიში“ და „სიბრალული“, რომლებიც „შეიძლება გაჩნდეს სპექტაკლიდან“ ან პოეტის მიერ ტრაგედიაში „დალაგებული ფაქტებიდან“ (1453ბ). ანტონენ არტომ ეს წყვილი ჩაანაცვლა ახალი წყვილით, ან, ყოველ შემთხვევაში, სანახევროდ განახლებული წყვილით – „შიშის ზარი და სისასტიკე,“ ესეების კრებულში „თეატრი და მისი ორეული“ (გამოქვეყნდა 1938 წ.) ეს სისასტიკე მოგვაგონებს ტრაგედიის წარმოშობასთან დაკავშირებულ რიტუალებს, ვაცის შეწირვას დიონისეს პატივსაცემად.

ტრაგიკულის გრძნობა არ იბადება მხოლოდ ტრაგედიიდან. ის შეიძლება მომდინარეობდეს ცხოვრებიდან. ეს არის მიგელ დე უნამუნოს თვალსაზრისი, რომელიც სულ სხვა კონტექსტში და სულ სხვა სულისკვეთებით გაიმეორა შეექპირის სახელგანთქმულმა კომენტატორმა ჟან პარისმა: „ტრაგედია იწყება მხოლოდ ადამიანით: ეს იმას ნიშნავს, რომ ის იწყება ღმერთებთან ერთად“ (Jean Paris, Univers parallèles, I: Théâtre, Le Seuil, 1975, p. 9). დაბადების ცოდვა (el delito de nacer), რომელზეც ლაპარაკობს კალდერონის სეხისმუნდო პიესაში „ცხოვრება სიზმარია“ (la Vida es sueño, 1635), ტრაგიკულის არსის შესაბამისად დაატყდება თავს ტრაგიკულ პერსონაჟს, თუნდაც ეს იყოს comedia-ში. ტრაგიკული საწყისი შეიძლება ასევე გააზრებული იყოს როგორც ღვთაებრიობის არსი: სეხისმუნდო ადანაშაულებს ზეცას; ბერძნებს უბედურება, რომელიც მათ ატყდებათ თავს და რომელიც აზიანებს მათ გმირებს, მიაჩნიათ ღმერთების ნების გამოხატულებად; ძველი აღთქმის ღმერთის ნება მძიმე ტვირთად აწვებათ ესთერს და ათალიას.

შიშის ზარი არ არის მხოლოდ ის, რასაც ძველი ბერძნები განიცდიან „არსებობის საშინელი

ბის წესი, ვინაიდან „ჩვენი ყველა უბედურება, ვნებებიდან გამომდინარე, მომდინარეობს იმ საუბრებიდან, რომელშიც ბობოქრობს ვნებები.“ არტოსთან ერთად უნდა გავცდეთ „გრძნობების ოფიციალურ გამოვლინებებს“, რათა ვაღიაროთ „ტრაგიკული ძალები“, რომლებისაც ასე გვეშინია, ბედისწერიდან დაწყებული.

ტრაგედია, როგორც ძველი ბერძნული კულტურის გამოვლინება, მომდინარეობს დიონისეს მისტერიებიდან და თვით ევრიპიდეს „ბაკქი ქალებში“ – ამ ღვთაებასთან დაკავშირებული მითიდან. თანამედროვე ეპოქაში ტრაგედია აღორძინდა არმყოფობისაკენ სწრაფვის შოპენჰაუერისეული გრძნობიდან და ის გამოიხატა იმ მითების საშუალებით, რომელთაგან ყველა არ არის ბერძნული. ვაგნერთან, რომელიც ხშირად მიმართავს გერმანულ და სკანდინავიურ მითებს, ტრაგიკული საწყისი გამოიხატა ეფემერული ბგერის „ულერად სიჩუმეში“ ჩამოყალიბებული ამ „უსაზღვრო მელოდიის“ მადლითა თუ ძალით (იზოლდას სიმღერა სიკვდილის წინ, რომელსაც ნიცშე უკეთებს კომენტარს „ტრაგედიის დაბადებაში“ (60 22), ანიჭებს რა მას საკმაოდ განსხვავებულ მნიშვნელობას, სანიმუშოა ამ მხრივ). მე ეს ორი გამოთქმა ვისესხე „წერილიდან მუსიკის შესახებ“: ამ ტექსტში ვაგნერი თვითონ ამბობს, რომ ის დაემორჩილა „მეტაფიზიკურ აუცილებლობას.“ არტოსაც ექნება, აგრეთვე, ტრაგიკულის კოსმიური გრძნობა: სისასტიკე არის მოქმედი ძალა ისტორიასა და სამყაროში. ამ პირობით, არ არის გასაკვირი, რომ მან „ჩენჩების ოჯახისთვის“ აირჩია ისტორიული ტრაგედიის ჟანრი, რომელშიც არის ქარიშხლის სცენა, მასში მოხუცი გრაფის, ფრანჩესკო ჩენჩის მკვლელები ებრძვიან ბუნების მოვლენებს (III მოქმედება, II სცენა). მთელი პიესა ემორჩილება ამ წრიულ მოძრაობას (წრე), რომელიც არის თვით კოსმიური ქარბორბალას მოძრაობა, „ცხოვრებისეული ქარბორბალა, რომელიც შთანთქავს სიბნელეს (Deuxième lettre sur la Cruauté, dans Le Théâtre et son double).

ფორმის ასეთი ცვლილებები არ გამორიცხავს ამ ჟანრის პერმანენტულობას, მით უმეტეს, არც ტრაგიკულის შეგრძნების პერმანენტულობას. გეორგ ლუკაჩის წიგნი „რომანის თეორია“ ადასტურებს ამას. როდესაც ეს წიგნი დაწერა (1914-1915), უნგრელი თეორეტიკოსი ბევრად უფრო ჰეგელიანელი იყო, ვიდრე მარქსისტი (ის თვითონ აღიარებს ამას). მის თეორიას რომანის შესახებ ადგილი უჭირავს ჟანრების ბევრად უფრო ვრცელ თეორიაში, რომელშიც გამეორებულია ლიტერატურული გვარების ცნობილი ტრიადა, „ლირიკა, ეპოსი, დრამა.“ ტრაგედიის ბერძნული წარმომავლობიდან გამომდინარე, ლუკაჩი ადასტურებს:

„მიუხედავად ყველა ცვლილებისა, რომელიც მან განიცადა, ტრაგედიამ უცვლელად შემოინახა თავისი არსი ჩვენს დრომდე, მაშინ როდესაც ეპოპეას მოუწია გაუჩინარება და ადგილის დათმობა სრულიად ახალი ლიტერატურული ფორმისთვის, რომანისთვის.“

ეს კონცეფცია, რომელიც ძალიან მიღებულია დღეს, საშუალებას იძლევა, რომანის ჟანრი შეუერთდეს ტრიადის ერთ-ერთ ლიტერატურულ გვარს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ის ყოველმხრივ სჯობნის ეპოპეას, მას შეუძლია შეითავსოს ლირიზმი (კოლეტის ზოგიერთი რომანი და, საზოგადოდ, „პოეტური რომანი“, რომელსაც ჟან-ივ ტადიემ მიუძღვნა ძალიან სანიმუშო ნაშრომი), ასევე თვით დრამა (დიალოგები, „სცენები“ ჯეიმს ჯოისის „ულისეში“). „ეპიკური რომანის“ ან „რომანული ეპოპეის“ შესახებ ლაპარაკი ტავტოლოგიას ჰგავს, მაგრამ რომანს მართლა შეუძლია იყოს ეპოპეის ავატარი (შატობრიანი, სახელდობრ „მარტვილები“, ჰიუგო, ყველაზე მეტად „განკიცხულნი“), იყოს ეპოპეის გაგრძელება (კლოდ სიმონის „გზა ფლანდრიაში“ ან იყოს სახუმარო („დონ კიხოტი“ , რომლის მთავარ პერსონაჟს თავბრუ დაახვია სარაინდო რომანებმა).

ფრანგულიდან თარგმნა

რუსუდან თურნავამ

პიერ ბრუნელი

ტრაგიკული მითი და ტრაგედია

ის იყო საქართველოს მეგობარი



ლეო კოსუთი – გამომცემელი, პუბლიცისტი და მთარგმნელი – გარდაიცვალა 2022 წლის 1-ელ მარტს, ბერლინში.

30 წლის განმავლობაში – 1958 წლის იანვრიდან 1989 წლის აპრილამდე ლეო კოსუთი მთავარი რედაქტორი იყო გამომცემლობაში ფოლქ უნდ ველთში (Volk und Welt), რომელიც აღმოსავლეთ გერმანიაში უცხოური ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან გამომცემლობად ითვლებოდა. კოსუთის ეგიდით ამავე გამომცემლობაში გამოიცემოდა ქართველი ავტორების მნიშვნელოვანი წიგნები, რომლებსაც იგი გამოსაცემად ამზადებდა ქართველ ლიტერატურათმცოდნეებთან, მწერლებთან და ინსტიტუციებთან თანამშრომლობით და როცა კი შესაძლებელი იყო, ორიგინალიდან ათარგმნინებდა. ასე გამოსცა მან კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ გერტრუდ ფეჩის თარგმანში, სიმონ ჩიქოვანის ლექსები გამომცემლობის ელეგანტურ, „თეთრ სერიაში“, რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია (ადოლფ ენდლერისა და რაინერ ქირშის თარგმანში), რომელიც დღესაც ძალიან შთამბეჭდავ გამოცემად ითვლება, ასევე ქართული ზღაპრები, არაერთი მოთხრობების კრებული, მიხეილ ჯავახიშვილის ფულმინანტური რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“, როგორც 1920-იანი წლების პროზის ნიმუში, და ასევე ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ და „რკინის თეატრი“.

1990 წლის შემდეგ, როცა უკვე გაჭირდა გერმანულენოვანი გამომცემლების ქართული ლიტერატურით დაინტერესება, კოსუთი მთელი ენთუზიაზმით აგრძელებდა თავის დაწყებულ საქმეს და საბოლოოდ წარმატებას მიაღწია ორი გამოცემის შემთხვევაში, ესენი იყო: ილია ჭავჭავაძის უკვდავი გროტესკული ნაწარმოები „აკაცია-ადამიანი?!“ (გამოიცა ლაიფციგში, 1995 წელს) და იოსებ გრიშაშვილის კულტურულ-ისტორიული საგანძური „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (გამოიცა ბერლინში, 2007 წელს) ილუსტრირებული ქართველი მხატვრის, ოსკარ შმერლინგის ორიგინალური და გამოცემასთან იდეალურად შეთვისებული ნახატებით, რომელიც კარგად ასახავდა თანადროულ ტიპაჟებსა და სცენებს თბილისის ცხოვრებიდან. ორივე გამოცემას მან დაურთო სრულყოფილი, ინფორმატიული ბოლოსიტყვაობები.

კოსუთი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ქართული ლიტერატურის რთული რეცეფციის პროცესს უკვე გაერთიანებულ გერმანიაში, რომელიც საბოლოოდ დაგვირგვინდა იმით, რომ 2018 წელს, საქართველოს საპატიო სტუმრობის პროგრამამ ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა.

ათეულობით წლების განმავლობაში საგამომცემლო სფეროში მუშაობისას, ის ხშირად სტუმრობდა საქართველოს, მათ შორის როგორც ოთარ ნოდიას მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული გაცვლითი პროგრამის სტუმარი. კოსუთი პირადად იცნობდა კოსტანტინე გამსახურდიას, ოთარ ჭილაძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, მეგობრობდა გერმანისტ ნელი ამაშუკელთან, დავით ლაშქარაძესთან, ნოდარ კაკაბაძესთან და რეზო ყარალაშვილთან.

საქართველო ლეო კოსუთის ფართო, შემოქმედებითი და უკიდეგანოდ მდიდარი ცხოვრების ნაწილი იყო. ის 98 წლის შესრულდა. 1923 წელს, ბუჩაში, უკრაინელი დედისა და ავსტრიელი მამის ოჯახში დაბადებულმა, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შეიტყო პუტინის რუსეთის უკრაინაში შეჭრის შესახებ.

კრიშტიანე ლიხტენფელდი

ლეილა ვადაჭკორია

ცინცხალი ცვლილი

ისე მწყურია ლაღი ღიმილი,
ბაგეს გიკოცნი, ატმის ყვავილო.
მზეო, შენს სხივებს თხილის გულივით,
დაუმადლებლად, ვიცი, გამიყოფ.

წყაროვ, დაგყვები ხვეული გზებით,
მონატრებული შენს ხმას ანკარას.
დამღალა მღვრიე კაკაფონიამ,
აღარ დავუგებ ჩიტებს კაკანათს.

ამაღლდი სულში, სინათლის სვეტო,
წინ მედოს წიგნი გადასაშლელი.
ღვიოდეს გულში სინრფელე ერთობ,
აღარ მეჭიროს ხელში საშლელი.

***

სიტყვა არ ამინონია,
არც ნემსის ყუნწში ვატარე.
გულში სათუთად ნაზარდი,
ნაზ ნიავს გამოვატანე.

ყური მიუგდე მის ჩურჩულს,
არ მინერია ეტრატზე.
ვერც ვარსკვლავები მოვხატე,
ნისლით დაბინდულ ზეცაზე.

მიყვარხარ, ისე, უბრალოდ,
როგორც ყვავილებს - ცის ნამი,
ჩემს გულში ჩაბუდებული,
ულამაზესი სიზმარი.

***

ხელი ხელს ბანს,
ორივე – პირს,
მესმის, გამიგია ასე.
ღმერთო,
ხშირად გამაგონე:
მადლი დაუდია
ქვაზე!

***

შენ გინდა ვიყო
ის, ვინც არა ვარ,
განა ცვლილის ვარ,
რომ გამომძერწო,
როგორც ინებებ,
რაც ვარ, ესა ვარ
ტანჯული სულის
სევდის ტაძარით,
რიდით,
პატივით,
რწმენით და თმენით,
დანაცრებული
ტრფობის ღადარით.

ჭიჭილოვ!

გული არ დაგწყდეს,
პეპელავ,
ხანმოკლე თუ გაქვს
სიცოცხლე,
ნეტავი, რა ბედენაა,
მე თუ ამდენ ხანს
ვიცოცხლე.
შენ არა დაგითმენია,
მე კი რამდენი ვითმინე,
შენ დაფრენ მთელი
ცხოვრება,
მე ერთხელაც ვერ
ვიფრინე.

R

პროფესიონალები კულისებიდან



სამწუხაროდ, არის რამდენიმე პროფესია, რომლებსაც გაქრობა ემუქრება. ესენია გრიმიორისა და ბუტაფორის სპეციალობები.

გრიმს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ათეული წლებია ამზადებენ ბუტაფორულ საქართველოს" (დირექტორი ქ. გობეჩია) მხარდაჭერით, მ. ბერძენიშვილის კულტურის ცენტრში გაიმართა.

ქალბატონი ქეთევანი და ბატონი პავლე ათეული წლებია ამზადებენ ბუტაფორულ ბის განმავლობაში ასწავლიდნენ, მაგრამ სასწავლო პროცესიდან ამოიღეს. ბუტაფორიის ოსტატებს კი პრაქტიკული მუშაობის საშუალება ნაკლებად აქვთ, ვინაიდან საამქროები აღარ არსებობს და მუშაობას მხოლოდ ენთუზიასტები განაგრძობენ. სწორედ ასეთი თავდადებული პროფესიონალები არიან მხატვარ-ბუტაფორები ქეთევან ამბარდნიშვილი და პავლე ივანოვი, რომელთა პერსონალური გამოფენა, თბილისის მერიისა და შპს „შეიცანი

მატებით თანამშრომლობდნენ ცნობილ რეჟისორებთან: მიხეილ თუმანიშვილთან, რობერტ სტურუასთან, გურამ მელივასთან, გიზო ჟორდანიასთან, დავით საყვარელიძესთან, ასევე სცენოგრაფებთან: ფარნაოზ ლაპიაშვილთან, ვანო ასკურავასთან, გოგი ალექსი-მესხიშვილთან, მამია მალაზონიასთან, მურაზ მურვანიძესთან, გოგი გუნიასთან და სხვებთან.

ეს ამაგდარი მხატვარ-ბუტაფორები ქმნიან არაჩვეულებრივ კოსტიუმებს, სამკაულებს, თავსაბურავებს, ნიღბებს, ჭურჭელს, ქანდაკებებს, იარაღსა და სპექტაკლისთვის სხვა საჭირო ნივთებს.

ასეთ ჯადოსნურ სამყაროს აზიარეს ამ შემოქმედებმა საზოგადოება გამოფენაზე, რომლის

რეკვიზიტებს, აქსესუარებს, მულიაჟებს, დეკორაციებს, კოსტუმებსა და სხვადასხვა საგნებს. ისინი 30 წელი მუშაობდნენ ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო სახელოსნოში, მაგრამ მისი დახურვის შემდეგ მუშაობას საკუთარ სახელოსნოში განაგრძობენ. მათ იწვევდნენ კინო და სარეკლამო გადაღებებზე, რუსთაველის, მარჯანიშვილის, მუსკომედიის, გ. ალექსიძის სახელობის თანამედროვე ბალეტისა და კინომსახიობთა თეატრებში. წარ-

ვილთან, ვანო ასკურავასთან, გოგი ალექსი-მესხიშვილთან, მამია მალაზონიასთან, მურაზ მურვანიძესთან, გოგი გუნიასთან და სხვებთან.

ეს ამაგდარი მხატვარ-ბუტაფორები ქმნიან არაჩვეულებრივ კოსტიუმებს, სამკაულებს, თავსაბურავებს, ნიღბებს, ჭურჭელს, ქანდაკებებს, იარაღსა და სპექტაკლისთვის სხვა საჭირო ნივთებს.

ასეთ ჯადოსნურ სამყაროს აზიარეს ამ შემოქმედებმა საზოგადოება გამოფენაზე, რომლის

გახსნაზეც სიტყვით გამოვიდნენ ხელოვნებათმცოდნეები: ლია ბუაძე, სოლომონ დადიმაშვილი, ქეთევან და ნინო ბარნაბიშვილები, დალი გოგორიშვილი, დავით გეგელაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს ამ სპეციალობის სწავლებისა და ტრადიციების შენარჩუნების აუცილებლობა, ყურადღება გაამახვილეს შრომატევადი და რთული საქმის ხელშეწყობაზე, თავად ხელოვანთა პროფესიონალიზმსა და ენთუზიასტურ თავდადებაზე. გამოფენა ზეიმად აქციეს თბილისის მერიის სოლომონ ვირსალაძის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც თეატრალური კოსტიუმები „გააცოცხლეს“ და მრავალსახიერად წარდგნენ დამთვალიერებელთა წინაშე.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სსპ საზოგადოება „შეიცანი საქართველოს“ აქტიური მუშაობა, რომელიც უკვე ორი წლის მანძილზე საინტერესო აქტივობებს გვთავაზობს. მისი მიზანია ჩვენი და უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა, თუ ემიგრანტებისთვის ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ტრადიციების გაცნობა.

გუბაზ მეგრელიძე

სიცოცხლის წიგნი

„პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი“, – ბრძანებს დიდი ილია. ბატონი დავით გაბუნია ერთ-ერთი იყო ამ „მადლმოსილთაგან“, მთელი ცხოვრება ლექსს მიუძღვნა, ლექსით იცხოვრა და, როცა წუთისოფელს დაემშვიდობა, თავის შემოქმედებაზე ზრუნვა მეუღლეს, ჟურნალისტ დონა კოლხს მიანდო. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მკითხველმა დავით გაბუნიას ლექსების ორტომეული მიიღო, სულ ახლახან კი მისი ახალი კრებული „სონეტები“ გამოვიდა.

დავით გაბუნიას სონეტების ციკლში მთელი სისრულით წარმოჩინდა მისი ნიჭიერება, აზროვნების მანერა, მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულება...

წიგნი, რომელსაც წინ უძღვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ციალა მესხიას ვრცელი გამოკვლევა, გამომცემლობა „მინიატურაშია“ დაბეჭდილი. წიგნის რედაქტორია დოდო ნარმანია (დონა კოლხი), კომპიუტერული უზრუნველყოფა – დავით სოსიაური.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG0000000161665862

გამოდის პარასკევობით

დაბეჭდილია შპს „**საარის**“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806
9 771987 980005

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com